ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოქტომბრელი




№ 8

ყოველთვიური საბავშვო ჟურნ., № 8 9.

# ოქტომბრელი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროსა და განათლების სახ. კომისარიატის ჟურნალი მცირე-წლოვან ბავშვთათვის.

აგვისტო სექტემბ. 1933 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## შინაარსი

1. დაბრუნება სკოლაში,—ლექსი ირ. აბაშიძისა . . . . . . . . 1
2. ირინეს შვილიშვილი,—გ. კაჭახიძისა . . . . . . . . . . 2
3. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე,—ე. ა. . . . . . . . . 8
4. თინა,—ლექსი შიო მღვიმელისა . . . . . . . . . . 10
5. კატამ ლეკვები დაყარა,—მარკოვისა . . . . . . . . . . 11
6. ქალაქისკენ,—ლექსი ლავრენტი ჰიჰინაძისა . . . . . . . . 20
7. კასპიის ნაპირებთან,—დავ. შამათავასი . . . . . . . . 21
8. წითელი ქარავანი,—ვახტანგ პეტრიაშვილისა. . . . . . . . 24
9. ხეჯითი მოწაფეები,—ლექსი ავთ. კაშმაძისა . . . . . . . 32
10. რა? როგორ? რისთვის?,—ნ. კუტუზოვასი . . . . . . . . 33
11. არდადეგების მიწურულში,—ლექსი გ. კალანდაძისა . . . . . . 35
12. ბუნების წიაღში,—მესიანის, თარგ. ფირუმიანისა 36
13. წითელი დროშის ორდენი,—ვ. ზინდე. თარ. შ. გაფრინაშვილისა. 42
14. ხპილო და ფინია,—იგავარაკი ი. კრილოვისა, თარ. აკ. წერეთელისა 49
15. ჩრდილის თეატრი,—შ. თ-ლისა . . . . . . . . . . 50



# დაბრუნება სკოლაში

მოხველ, გივი?
რახანია
არ გვსმენია სკოლის ზარი.
ოჰ, რა ქუდი დაგიხურავს,
ხარ ნამდვილი კომისარი.

ერთი მითხარ,
შეასრულე
საზაფხულო დავალება?
თუ ისწავლე „უ“-ს და „დონ“-ის
წესიერად დამრგვალება.

თორემ, გახსოვს,
რვეულები
რა ბინძურად გქონდა წინათ?
თითქოს იხვებს ჩვეულებრივ
შიგ ეარნათ არხეინად.

თორემ, გახსოვს, —
ახალ წიგნებს
ეპყრობოდი მტრულზე მტრულად
და ხატავდი ყველა გვერდზე
რაღაც სურათს შენებურად.

რასა ჰგავდა!
მაგ ფანქარი
მაგ ჩანთაში არა ძლებდა?
სურათი თუ სჭირდებოდა, —
სახელგამი დააკლებდა?

ერთი აქ მო,
მაგ თითები
არ გივარგა, გატყუობ, სრულად.
აქაო და მელნით ვწერო,
შეხეთ, როგორ გათხუპნულა!

ბიჭო, ასე რამ დაგხატა,
გამომიტყდი, აბა, მოდი!
ანდა იქნებ სამელნეში
სათევზაოდ მიმვრებოდი?

აბა, ჩქარა,
დაიბანე,
დაიბანე ხელი, თორემ
ამ წელშიაც დაუდევრის
სახელს ველარ მოიშორებ.

ჰაი, გივი,
რახანია
არ გვსმენია სკოლის ზარი.
ოჰ, რა ქუდი დაგიხურავს,
ხარ ნამდვილი კომისარი!

ირ. აბაშიძე

# ირინეს შვილიშვილი

მთელი ზაფხული იმერეთში გაატარა ბებიასთან. სამოცი წლისაა ბებიამისი და ჯერ კიდევ საკმაო ჯანი აქვს. ყველაფერ საქალო საქმეებს ის აკეთებს ოჯახში. ზოგჯერ მამაკაცის საქმესაც კიდებს ხელს. უყვარს სოფელი და არ შორდება, თორემ ტფილისში შეეძლო შვილთან ეცხოვრა. ლაპარაკი კარგად ეხერხება და იცის ბევრი ზღაპრისა და ამბის მოყოლა. ამიტომ მაყვალას ძლიერ უყვარს ბებია და ყოველ ზაფხულს მასთან მიდის. იქ მას მიელის ნაირნაირი ხილი, ჭის ცივი წყალი და დასვენება. წელს დიდხანს სთხოვდენ ამხანაგები: როგორმე მოახერხე და ჩვენთან ბანაკად წამოდი კოჯორშიო, მაგრამ არ იქნა და არა, მაყვალა მაინც ბებიასთან წავიდა იმერეთში. ამხანაგებს წერილების მიწერას დაჰპირდა.

კარგი ქალია ბებია ირინე, უყვარს ბავშვების მოვლა და გართობა, შვილიშვილსაც დიდი მზრუნველობა გაუწია. მაყვალა დედით ობოლი გოგონაა, და ბავშვების მოყვარულმა ირინემ უდედობა არ დაატყო მას. მუდამ სუფთად ჰყავდა, ეალერსებოდა და აძლევდა ნოყიერ საზრდოს. როცა სოფელში დედაკაცები მაყვალას გასაგონად იტყოდენ: ირინეს შვილიშვილიაო, მაყვალას ეს სიამოვნებდა, მაგრამ როცა იქვე დაუმატებდენ: ნეტავი დედამისი მოსწრებოდა მაყვალას ამხელა ქალად გახდომასო,—მაყვალას გულზე რაღაცა უკბენდა, დაფიქრდებოდა და დიდხანს გაურკვევლად იდარდებდა.

— ნეტავი მართლაც მოსწრებოდა დედაჩემი ჩემს ამხელა ქალად გახდომასო,—იტყოდა გულდაწყვეტილი მაყვალა და ბებიასთან წავიდოდა. ბები კი მოეფერებოდა, დიდხანს უალერსებდა, მოუთხრობდა მხიარულ ამბებს, და ბოლოს მაყვალასაც გაუვლიდა დარდები. კარგი ქალია, მართლაც, ბებია ირინე! ახლაც დიდი სიყვარულით იგონებს მაყვალა ბების მოყოლილ ამბებს, მისი ნახელავი ჭყინტი ყველისა და სულგუნების გემოს. სოფელიც რა დიდებული იყო—უფასო ჭამა-სმა, ხილი და სუფთა ჰაერი! მერე, ბებიამაც რა ტკბილად იცოდა დაძახება:



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



— მაყვალა, გოგოვ, მოდი, მელაპარაკე რამე, — და მაყვალაც მივიდოდა, დაუჯდებოდა ბების წინ, გაუცინებდა და ეტყოდა:

— რა ამხანაგები ვართ, ბები, მე და შენ! რა გითხრა ისეთი, რომ გაგეხარდეს?

— შენი სიტყვა ყველაფერი გამახარებს, გოგოვ.

— მაინც, მაინც? — ეშმაკურად გაუცინებდა მაყვალა.

— შენ ხომ ბევრი ლექსი იცი, თქვი რომელიმე. — მაყვალაც არ გაუტეხდა ხათრს, დადგებოდა ბების წინ ისე, როგორც სცენაზე იციან ხოლმე, და იტყოდა რამდენჯერმე ნათქვამს:

— მისთვის მიყვარს ბებია,
მისი ხელი მრგებია,
ბევრი კარგი მოგონების
და ზღაპრების მთქმელია.

შეჩერდებოდა, თავს დაუკრავდა ირინეს და შემდეგ ისევ წინ დაუჯდებოდა.

— მართლა გიყვარვარ, გოგოვ? — ღიმილით ეტყოდა ირინე.

— მართლა, აბა ტყუილს ვამბობ, ბები?

— რომ გაიზრდები, მაშინაც გეყვარები?

— მაშინაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ უფრო რომ გაიზრდები?

— კიდევ მაშინაც.

ირინეს ერთბაშად თვალები გაუბრწყინდებოდა, მკლავებს გაშლიდა და გახარებული მკერდზე მიიკრავდა მაყვალას.

* * *

კარგი ამინდები იყო სოფლად. მაყვალა ხშირად ეზოში რომელიმე ჩრდილქვეშ გააგებდა ჭილოფს და პირაღმა წამოწვებოდა. უყურებდა დიდხანს ცას და მოსწონდა მისი ფერი. როცა ცის მზერა მოსწყინდებოდა, გაშლიდა წიგნს და კითხულობდა. იქვე ჰქონდა ფანქარი და დროგამოშვებით რვეულში იწერდა წიგნის დამახასიათებელ ადგილებს.

— ეს გოგო ივარგებს,—ფიქრობდა ირინე, როცა ამ დროს მაყვალას ხედავდა. მაყვალა კი დიდხანს კითხულობდა. როცა დაიღლებოდა, ბების ინახულებდა, ან მეზობელ ბავშვებთან წავიდოდა გასართობად. თამაშობის შემდეგ მან წაკითხულის შინაარსის მოყოლა იცოდა ამხანაგებისათვის. ამით ამხანაგებიც დააინტერესა კითხვით, და ხშირად მათაც დაუნახავდით წიგნს ხელში.

— ბები, იცნობ ჩემ დღიურებს?—უთხრა ერთ დღეს მაყვალამ ირინეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა არის ღღიურები?!

— არ გცოდნია, როგორ აგიხსნა! რაც საგრძნობი რამ შემემთხვევა, ან რასაც კარგს საქმეს გავაკეთებ, ყველას რვეულში ვინიშნავ.

— მერე, რად გინდა ეს რვეული?

— დავალებაა. მასწავლებელს ვაჩვენებ, ამხანაგებს წავუკითხავ. ასეც რომ არ იყოს, დრო გავა, გავიზრდები, ვნახავ და გამეხარდება.

ბევრი ისიამოვნა მაყვალამ სოფელში, ბევრი კარგი რამ ნახა, ბევრი გლეხი გოგო-ბიჭი გაიცნო და დაიახლოვა. ერთხელ შაბათობის მოწყობაც უნდოდა კოლექტივის ბოსტანში. ბოსტანს ქალები ამუშავებდენ და მუშახელი არ ჰყოფნიდათ. მაყვალა ურჩევდა ამხანაგებს დახმარებოდენ კოლმეურნე ქალებს, მაგრამ ამხანაგებში ბევრი ჯიუტი იყო და არ დასთანხმდა. ამგვარად, მაყვალას განზრახვა—ამხანაგებით შაბათობის მოწყობა კოლექტივის ბოსტანში—ჩაიშალა. სამაგიეროდ თვითონ ბიცოლას გვერდით ორ დღეს მუშაობდა კოლექტივის ბოსტანში. მაყვალას ეს შრომა სიამოვნებდა და კოლმეურნე ქალების პატივისცემა კი დაიმსახურა.

*

* *

სოფელს ისე შევეჩვიე, ტფილისში გამიჭირდება წასვლაო,— ხშირად ფიქრობდა მეგობრებში გართული მაყვალა, მაგრამ როცა შემოდგომა მოახლოვდა და გაზეთებიც სწავლის დაწყების დროს იუწყებოდენ, მაყვალასაც გული ტფილისისაკენ მიუწევდა. შემდეგ ჯგუფში წარმატებით იყო გადასული და სწავლის დაწყება მოენატრა.

— ბები, ტფილისში უთუოდ მალე წავალ. ალბათ, მამა ჩამოვა და წამიყვანს,—უთხრა ერთ საღამოს მაყვალამ ირინეს.

— მერე, მე ვის დაველაპარაკო, გოგო?

— განა აქ ცოტა არიან ქალები?! თუ ჩემი სიტყვა გინდა, მე წერილებს ხშირად მოგწერ.

არ გასულა დიდი დრო, ტფილისიდან მაყვალას მამა ჩამოვიდა. ორ დღეს დარჩა სოფელში, შემდეგ უკან გაბრუნდა და მაყვალაც თან წაიყვანა.

სასიამოვნოა პირველი ზარი, როცა ზაფხულის დასვენების შემდეგ გესმის იგი. მე ეს გამომიცდია, და მაყვალასაც მეტად ესიამოვნა, როცა პირველი ზარის ხმა გაიგონა. ამ დროს იგი სკოლის ეზოში ამხანაგებს ელაპარაკებოდა, აცნობდა ბებია ირინესთან ყოფნის ამბებს, ამხანაგებისაგანაც ისმენდა ნალაპარაკევს და დიდად მხიარული იყო. ამინდიც ხელს უწყობდა ამ მხიარულებას. სუფთა დილა და მზის ღიმილი ამშვენიერებდა გარემოს. ტფილისის დაფიქრებული რუხი მთებიც არაჩვეულებრივი ჩანდენ.

მოწაფეები სასწავლო ოთახში დალაგდენ. ჯგუფში მასწავლებლის შესვლას ბავშვები ქრიამულით შეხვდენ. გაეხარდათ ერთმანეთის ნახვა. პირველი გაკვეთილი შთაბეჭდილების გაზიარებას მოუნდა. მაყვალამ თავისი დღიური მასწავლებელს გადასცა. მასწავლებელმა რვეული გადაათვალიერა, რამდენიმე ადგილი დაინიშნა (ალბათ, მოეწონა), შემდეგ თავი მაღლა აიღო და მოწაფეებს უთხრა:

— ბავშვებო, ამ ზაფხულის განმავლობაში მაყვალა ანდრიამეს უწარმოებია დღიურების ჩაწერა. დღიურები ყველას უნდა შეგვედგინათ. არ ვიცი, რამდენად შეასრულეთ ეს... ხმაურობა შეწყვიტეთ, დამიგდეთ ყური.—მასწავლებელმა ინტერესით დაიწყო მაყვალას რვეულიდან ადგილების კითხვა:



ეროვნული ბიბლიოთეკა

,, 2 ივლისი. ერთი წელიწადია არ მინახავს სოფელი. დღეს დილით ჩამოვედი ბებია ირინესთან. ძალიან გაეხარდა. სულ დამკოცნა. ბევრ კარგ რამეს დამპირდა. ბებიამ რომ ასეთი მოქცევა არ იცოდეს, მე აქ არ მოვიდოდი".

,,4 ივლისი. მშვენიერია ყველაფერი. ერთი კვირის წინ აქ წვიმა მოსულა, და სასიამოვნოდ გრილა. ბევრი ხილი მწიფდება, ალუჩა და ბალი კი მოლევის პირადაა. ვნანობ, რომ ვერ მოვუსწარი მათ პირველ შემოსვლას".

,,20 ივლისი. დღეს წავიკითხე ,,არსენას ლექსი". ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც წერია: ,,ათი-თორმეტი ყაზახი სულ ცხვრებივით გადმორეკა". დიდად დამაღონა არსენას დაღუპვამ. გიორგი კუჭატნელმა როგორ გაიმეტა ეს ვაჟკაცი! საზიზღარი!! არსენა მცხეთაში ყოფილა დასაფლავებული, და როცა ტფილისში ჩავალ, თუ მოვახერხე, უნდა ვნახო მისი საფლავი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საინტერესოა და მიყვარს ასეთი ნაწერების კითხვა".

,,29 ივლისი. გადავწყვიტე—ამხანაგებით მომეწყო შაბათობა კოლექტივის ბოსტანში. მაგრამ ბევრი ამხანაგი ჯიუტი აღმოჩნდა და არ დამეთანხმა. მიუხედავად ამისა, მე ბიცოლას გვერდით ორ დღეს მაინც ვიმუშავე. ახლა ეს მაფიქრებს, იმ ამხანაგებმა თუ ჯიუტობა არ მოიშალეს, როგორ უნდა შევიდენ სოციალიზმში?!"

,,5 აგვისტო. წერილი მივიღე კოჯრიდან. ამხანაგები იწერებიან კოლექტიურად. ბევრი ვიცინე, ისეთ რამეებს მწერენ. მახარებენ თავიანთ ცხოვრებას, ლამის მომანატრონ მათთან ყოფნა. კარგი ბავშვებია ჩვენი ბავშვები!"

,,18 აგვისტო. დღეს მინდვრად ვიყავი და გამეხარდა. მშვენიერი ყანებია. ერთი გოჯი მიწაც არაა დაუთესავი. კოლექტივი მუყაითად მუშაობს, სხვებიც ყოჩაღად არიან. შარშან ასე არ ყოფილა".

,,25 აგვისტო. ვერ ვარ კარგ ხასიათზე. ჩემი საყვარელი ძაღლი მურა მოკლეს. შუადღით მეზობელს შეესწრო ბუდეში, კრუხი აევდო და კვერცხები შეეჭამა. საწყალი მურა! რომ წუწკობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაეწყო, სოძ ცოცხალი იქნებოდა! ბებიასაც ძალიან წყინს მურას სიკვდილი“.

მასწავლებელმა კითხვა შეწყვიტა.

— როგორ მოგეწონათ?—შეეკითხა მოწაფეებს.

— კარგია, მასწავლებელო,—იყო რამდენიმე ხმა.

— მურას სიკვდილი? — ოისუნჯა მასწავლებელმა. ბავშვებს გაეცინათ.

— არა, მასწავლებელო, მაყვალას დღიურები,—გაისმა აქა-იქ. ჯგუფში ყველა ნასიამოვნები დარჩა. მასწავლებელმა რვეული მაყვალას გადასცა. სხვებსაც შეედგინათ დღიურები, მაგრამ, მაყვალას დღიურების წაკითხვის შემდეგ, მათი გამოჩენის მოერიდათ. ზოგმა კიდეც გადასცა მასწავლებელს თავიანთი რვეულები, მაგრამ წაკითხვის დრო არ იყო. გაკვეთილი მთავრდებოდა. ამ დროს სოფელში მყოფი ირინე სიყვარულით იგონებდა თავის შვილიშვილს და წარმატებას უსურვებდა.

გ. კაჭახიძე.

# ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე

„ათასჯერ უკეთესია საპყრობილეში დავილუპოთ და მსხვერპლად შევეწიროთ რევოლუციას, ვიდრე სისხლიდან დავიცალოთ ომში, ჩვენივე ძმების—მშრომელების წინააღმდეგ ბრძოლაში“ — ასე იყო თქმული ახალგაზრდათა სოციალისტურ კონფერენციაზე შვეიცარიის ქალაქ ბერნში 1915 წელს. ამ კონფერენციაზე გამოტანილ იქნა დადგენილება იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქნას ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე ომის წინააღმდეგ და წელიწადში ერთხელ, ერთსა და იმავე დროს, ყველა ქვეყანაში ჩატარდეს ეს დღესასწაული.

იმ დროს, როდესაც კონფერენციას ეს დადგენილება გამოჰქონდა, მთელი მსოფლიო მოცული იყო 1914 წლის გამანადგურებელი მსოფლიო ომით. ამ ომში ერთმანეთს ხოცავდენ და ამახინჯებდენ მთელი ქვეყნის პროლეტარები გაუმაძღარი კაპიტალისტების იმპერიალისტური ზრახვებისათვის. ათასობით იხოცებოდენ სანგრებში ტყვიით განგმირული მამები, ათასობით იღუპებოდა შიმშილისაგან მათი დაობლებული ცოლშვილი.

რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ ამა თუ იმ კაპიტალისტურ ქვეყანას ხელში ჩაეგდო სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაზე მეტი კოლონიური ქვეყნები, რომ ამ კოლონიური ქვეყნების ექსპლოატაციით უფრო მეტად გაედიდებია თავისი სიმდიდრე.

ეს შეგნებული ჰქონდა სოციალისტურად განწყობილ ახალგაზრდობას. შეგნებული ჰქონდათ, თუ რამდენად უდანაშაულოდ ეწირებოდა მსხვერპლად მსოფლიო პროლეტარიატი კაპიტალისტების ინტერესებს. ამიტომ ამ კონფერენციის მოწვევისა და ამ ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის შემოღების მიზანი იყო იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ ბრძოლა.

ქალაქ ბერნში მოწვეული კონფერენციის მიმართვას მრავალი ქვეყნის ახალგაზრდობა გამოეხმაურა. გერმანიაში, ამერიკაში, დანიასა და ნორვეგიაში მოეწყო ახალგაზრდათა დემონსტრაციები. ეს პირველი საერთაშორისო დღე იყო პირველი უზარმაზარი საერთაშორისო დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე ყოველწლიურად გვიჩვენებს, თუ რამდენად გმირულად იბრძვის საერთაშორისო კომკავშირი რევოლუციისა და საბოლოო გამარჯვებისათვის.

ამ დღეს შემოწმდება ახალგაზრდობის რევოლუციური უნარიანობა. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე დღესაწაულია, მაგრამ ეს დღესაწაული კაპიტალისტურ ქვეყნებში კომკავშირულ ახალგაზრდობას ძვირად უჯდება: ჟანდარმები შეუბრალებლად დევნიან ახალგაზრდა დემონსტრანტებს, ფანტავენ, ცემენ, ხოცავენ და ატუსაღებენ. მაგრამ ახალგაზრდობა არ უშინდება ჟანდარმების დევნას. ისინი მაინც მტკიცე ნაბიჯით მიემართებიან ქალაქის უზარმაზარ ქუჩებში.

ჩვენში კი ასე არ არის. ჩვენში კომკავშირის ორგანიზაცია ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს თავისუფლად ზეიმობს. ამ დღესასწაულს ის ყოველწლიურად ახალ-ახალი გამარჯვებებით ხვდება.

ჩვენი ქვეყნის კომუნისტური ახალგაზრდობის ამოცანაა არა მარტო ის, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძოლოს სოციალიზმის მშენებლობისათვის, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს სხვა ქვეყნების მუშათა ბავშვებს, გადასცეს მათ თავისი გამოცდილება რევოლუციურ ბრძოლებში.

ე. ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ქუჩუნა და შავთვალწარბა,—
კარგი რამ გვყავს ცელქი თინა;
ჯანითა და ღონით სავსე,
მკვრივი არის, როგორც რკინა.

მეტ ლაპარაკს ერიდება,
როდი უყვარს ჩირთი-ფურთი;
თავისათვის დარბის, მღერის,
ახტი-დახტის, როგორც ბურთი.

ერთი სიტყვით, ცისმარე დღე
წუთითაც კი არ ისვენებს;
სწავლა-ცოდნას ეტანება,
ახლა სწავლობს უცხო ენებს.

მხატვრობაშიც უძევს წილი,
ფანქარს კოხტად ამიგმიგებს;
ქაღალდებზე გვისურათებს
მელიებს და ლამაზ ციგებს.

ლექსებს ამბობს მედგრად,
მკვირცხლად,
გარკვეულად, ცეცხლის ფრქვე-
ვით;
ხვალ სკოლაში მიდის ქალი
ალისფერი ელსახვევით.

დამკვრელების მისწრაფებით
უნდა სწავლას დაეწაფოს,
რომ სულ მალე დაეწიოს
მეტად კარგს და ბეჯით რაფოს.

შიო მღვიმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კატამ ლეკვები დაყარა

1927 წლის მაისის დასაწყისი იყო.

ერთიმეორეზე შემორბოდნენ ჩემთან ჩემი თანამოსამსახურენი და ყველა სათითაოდ მეკითხებოდა: ,,გაიგეთ? ნახეთ? არაჩვეულებრივი შემთხვევაა... კატამ ლეკვები დაყარა... რას ფიქრობთ თქვენ ამაზე? გსმენიათ კიდევ როდისმე ასეთი შემთხვევა? წადით, ნახეთ და თქვენი აზრი გვითხარით...

თითოეულმა თქვენთაგანმა კარგად იცის, რომ ძაღლი კნუტებს ვერ დაყრის, კატა კი ლეკვებს...

მაგრამ მე და ჩემი მეგობარი პროფესორი გ. მაინც წავედით ამ ,,გასაოცარი'' კატის სანახავად.

შევედით პატარა, მიწაში ნახევრად ჩამძვრალ დუქანში, რომელშიაც მსუქანი სპარსელი სხვადასხვა ხილეულს ვაჭრობდა.

მისმა ცოლმა, გერმანელმა ქალმა, სიამაყით გვიამბო, რომ მისმა კატამ ორი დღის წინათ კნუტების მაგივრად ლეკვები დაყარა და ამის გამო მნახველებისაგან მოსვენება არა აქვთ, აუარებელი ხალხი მოდის ამ ,,გასაოცარი კნუტების'' და მისი დედის ,,მარუსკას'' სანახავად.

ჩვენ შევედით პატარა საკუჭნაოში. ცალიერ კასრზე იდგა კალათი, რომელშიც ჩაგებული იყო ჩვრები. ამ კალათში იწვა მარუსკა და მუმუს აწოვებდა ორ პაწია... ლეკვს.

კატა სიყვარულით ლოკავდა მათ ხორკლიანი ენით, თვალებს ნაბავდა, კრუტუნებდა და მათ სიბინძურეს ენით წმენდდა.

მარუსკას თეთრ ბეწვს წითელი და შავი ლაქები ამშვენებდა.

მისი შვილები — ორი დღის ლეკვები — ფოქსტერიერის მოდგმისანი იყვნენ. მირსდაშვებული ყურები თავს მჭიდროდ ეკვროდა. ბასრი ბრჭყალები თათებზე ვერცხლისფრად ელავდა. მოკლე კუდებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კმაყოფილებით იქნევდენ, მეტადრე მაშინ, როდესაც რძით სავსე ძუძუს მიადგებოდენ ხოლმე.

ჩვენ შეკითხვაზე სახელგანთქმული ოჯახის პატრონმა გვიამბო, რომ მარუსკა მათთან უკვე ერთი წელიწადია, რაც ცხოვრობს და წრეულს პირველად დაყარა კნუტები.

მარუსკას მოვალეობაა—დუქანში დალაგებული სანოვაგე თაგვების ბასრი კბილებისაგან დაიცვას, ამიტომ საღამოთი, შინ წასვლის წინ, დუქნის პატრონნი მარუსკას დუქანში კეტავენ, დილით კი თავისუფლად უშვებენ.

გარდა კარებისა და რკინებიანი ფანჯრებისა, დუქნიდან და საკუჭნაოდან, დიასახლისის. სიტყვით, სხვა გასასვლელი არ არის, ისე რომ პატრონების მოსვლამდის კატას დუქნიდან გასვლა არ შეუძლია.

ორი დღის წინათ, დილით, როდესაც პატრონები დუქანში მოვიდენ, მარუსკა მისთვის დამზადებულ კალათში იწვა ახლად-დაბადებული ორი ლეკვით.—ამ ,,გასაოცარ‘‘ კატაში ჩვენ ხუთ თუმანს გვაძლევენ,—დაუმატა ქალმა.

—არ მისცეთ. თუ დამტკიცდება, რომ ლეკვები მართლა კატამ დაყარა, მაშინ ათას მანეთსაც მოგცემენ,—ხუმრობით უთხრა მას ჩვენმა მეგობარმა პროფესორმა.

დუქანი მნახველებით ივსებოდა. კატის პატრონი ქალი ყველას დიდი სიამაყით უამბობდა ამ ,,არაჩვეულებრივი კნუტების‘‘ დაყრის ამბავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარუსკა კი არხეინად იწვა თავის კალათაში და ეძინა. ეძინათ მის კნუტებ-ლეკვებსაც.

არცერთ მათგანს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ისინი ტფილისის მცხოვრებთა ყურადღების საგანია, რომ ეს აუარებელი ხალხი მათ სანახავად არის მოსული, რომ ისინი ათას მანეთად არიან შეფასებული.

მე დიდის ყურადღებით დავათვალიერე საკუჭნაო, რომლის ფანჯარა ეზოში გადიოდა.

ეზოშიც გავედი დასათვალიერებლად. იქ მე ცოტა რამ საყურადღებო შევნიშნე. ორ დღეში დუქნის ახლო მდებარე უბანს გავეცანი, გავეცანი ყველა იქ მყოფ ძაღლებსა და კატებს, თვალყურს ვადევნებდი მათ ცხოვრებას, ვისთან მეგობრობს, ვისთან ჩხუბობს. „შესანიშნავ“ მარუსკასი და მისი შვილების შესახებ დაწვრილებითი ცნობები შევაგროვე და ახლა მინდა თქვენც გაგიზიაროთ.

საქმე შემდეგშია...

ერთი წლის წინათ, ივნისში, როდესაც დიასახლისი ამალია დილით თავისი დუქნის გასაღებად მიდიოდა, ერთ სარდაფის ფანჯარაზე შენიშნა პაწია გამხდარი კნუტი. იგი საცოდავად და გაბმით კნაოდა, პირს ძლივს აღებდა და რკინის ბადესთან მიკუჟული თვალებს წარამარა ახამხამებდა. აუარებელი ხალხი მიდი-მოდიოდა, მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევდა მშიერ ფისუნიას... ავერ პატარა ლიდამ გაიარა, რომელიც სკოლაში მიცუნცულობდა, კნუტის კნავილის გაგონებაზე შედგა, თავზე ხელი გადაუსვა საცოდავ ფისოს. უხომოდ შეეცოდა, მაგრამ შინ წაყვანა კი ვერ გაბედა. ამ რამდენიმე დღის წინათ მან სახლში რამდენიმე უპატრონო კნუტი მიიყვანა, ამაზე მამა ძალიან გაბრაზდა და ორივეს ქუჩაში გადაყრას უპირებს... აბა მესამის წაყვანას როგორღა გაბედავდა!

ამალიამ დაინახა თუ არა კნუტი, აიყვანა ხელში და დუქანში წაიყვანა თაგვების დასაჭერად. თაგვები კი მის დუქანში აუარებელი იყო. დიდმალ სანოვაგეს უფუჭებდნენ.

ამალია არ მოტყუვდა...

მეორე-მესამე დღეს მარუსკამ (ასე დაარქვა ამალიამ თავის კნუტს) უკვე დაუწყო თაგვებს დევნა. იგი განაბული იჯდა ჯურღმულში, და ერთ მშვენიერ დღეს მის ბასრ ბრჭყალებში ნაცრისფერი ქურდბაცაცა აწრუწუნდა. ამის შემდეგ საქმე სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. დღე ისე არ გავიდოდა, რომ მარუსკას რამდენიმე თაგვი არ გაებაწრა. მისი პატრონების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

როდესაც მარუსკა გაიზარდა და დიდ კატად გადაიქცა, მან ისეთი თავზარი დასცა თაგვებს, რომ ყველა ფაცხა-ფუცხით აქეთ-იქით გაიფანტა და სოროებში მიიმალნენ. მარუსკას შემწეობით მისი პატრონების სარჩო-საბადებელი განადგურებას გადარჩა.



ყოველ საღამოს დუქნიდან წასვლისას დიასახლისი გადაუგდებდა ხოლმე რაიმე საჭმელს კატას, კეტავდა მას დუქანში და შინ მიდიოდა...

— კარგი კატა გვყავს, მამედ, კარგი, — ეუბნებოდა იგი თავის ქმარს. — ისე კარგად იჭერს თაგვებს, რომ უკეთესი არ შეიძლება.

გავიდა შემოდგომა, დადგა ზამთარი. მარუსკა მთელ ღამეებს დუქანში ატარებდა. ხან ეძინა, ხან თავის ბეწვს იწმენდდა, ხან ყუთებს შუა დადიოდა და თაგვის სოროებს ეძებდა. იგი საათობით გაუნძრევლად იჯდა ხოლმე სოროსთან, და ვაი იმ ნაცრისფერი ქურდბაცაცას ბრალი, რომელიც სოროდან ამოძრომას გაბედავდა!

დღისით იგი მორიდებით გადიოდა ეზოში, მზეზე თბებოდა, მაგრამ მომეტებულ დროს კი დუქანში ატარებდა ამალიას ახლოს, მთელი ტანით გაიჭიმებოდა ან მოიკუნტებოდა გორგალივით ერთ-ერთ თაროზე და კრუტუნებდა.

სპარსელის დუქანი მას თავის საკუთარ ქვეყნიერებად მიაჩნდა, სადაც იგი სრულუფლებიანი დიასახლისი იყო. დუქნის გარეთ იგი უხერხულად გრძნობდა თავს და ერიდებოდა სახლიდან შორს წასვლას...

იანვარი იყო. სახლის სახურავზე აუარებელ კატას მოეყარა თავი, კნაოდენ, დარბოდენ, ჩხუბობდენ. მარუსკას მოუნდა მათთან ყოფნა. თავისი სამფლობელო ვიწრო ეჩვენა. უნდოდა თავისუფლად რბენა კატებთან ერთად, და როდესაც დუქნის ფანჯარასთან რამდენიმე კატამ გაირბინა, მაშინ კი თვითონაც საშინელი კნავილით ეცა ფანჯარას, უნდოდა გარეთ განავარდება, მაგრამ ამაოდ. ფანჯრის რკინის ბადე გადაეღობა წინ.

მარუსკა ახტა ცალიერ, ერთმანეთზე დალაგებულ კასრებზე და უცბად ჭერის ქვემოთ გარეთ გასასვლელი ხვრელი შენიშნა. წუთიც—და მარუსკა მოხერხებული ნახტომით გაძვრა ხვრელში... აქედან ხეზე... და იგი გარეთ არის, სხვა კატებთან ერთად.

ბევრი კატა გაიცნო მარუსკამ. მათთან ერთად დარბოდა სახლის სახურავზე, კნაოდა, ჩხუბობდა. როდესაც სირბილითა და სეირნობით გულს იჯერებდა, ამავე გზით დუქანში ბრუნდებოდა და დილით თავის პატრონს ჩვეულებრივ ადგილზე ხვდებოდა...

— ჩემო კარგო თაგვიჭერია! ბევრი თაგვი დააფრთხე წუხელი? ბევრი დაიჭირე? ალბათ, დაიღალე... აჰა, ჭამე! — ეტყოდა ხოლმე ამალია კატას, მიუალერსებდა, ყურს უკან მოფხანდა და შემდეგ საჭმელს აძლევდა.

— ჭამე, ჭამე; ფისუნია! საჭმელს როგორ მოგაკლებ! შენ ხომ ჩემი სარჩო-საბადებელს ყარაულობ, თაგვებს აფრთხობ!

ფიქრადაც არ მოუვიდოდა ამალიას, რომ მისი კატა მოახერხებდა დაკეტილი დუქნიდან გარეთ გასვლას.

მარტში მარუსკა მთელი ღამეები დუქანში არ შედიოდა, არც თუ დღისით ეკარებოდა თავის „სამფლობელოს“, დარბოდა სახლის სახურავზე სხვა კატებთან ერთად.

მაგრამ ეს სეტიალი მარუსკას ბოლოს მოსწყინდა. იგი იშვიათად თუ ტოვებდა დუქანს. თუ გავიდოდა გარეთ,—ისიც ცოტა ხნით, ისევ მალე ბრუნდებოდა. ღამე ხომ დუქანს არ შორდებოდა.

გადიოდა დღეები.

ამალიამ შენიშნა, რომ მის ,,თავგიჭერია“ მარუსკას მალე კნუტები უნდა ეყოლოს.

ამალიამ ერთერთ კასრზე დაუდგა მას კალათა, შიგ ძველი ფალასები ჩაუგო და მარუსკას აჩვენა.

კატას, ალბათ, მალიან მოეწონა თავისი ,,ბუდე“, რომ მთელ დღეებს ამ კალათაში ატარებდა, თითქმის აღარ ამოდიოდა.

ერთ ღამეს, როდესაც დუქნის პატრონები შინ წავიდენ, მარუსკამ ოთხი კნუტი დაყარა.

უნდა გენახათ, რა ნაზად უვლიდა იგი შვილებს! ლოკავდა, თათებს უსვამდა, კნუტები კი სიამოვნებით წოვდენ დედის თბილ რძეს. როგორც ტკიპები, ისე მიჰკვროდენ დედას მუძუებზე. შვილებზე ზრუნვა ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა მარუსკას. ცოტას რომ ჩასთვლემდა, ისევ მალე იღვიძებდა. ულოკავდა კნუტებს მუცლებს, უსუფთავებდა ბეწვს, ხან ერთ გვერდზე გადააბრუნებდა მათ, ხან მეორეზე, რომ კნუტებს მუძუს წოვა გაადვილებოდათ.

განთიადისას მარუსკას მოშივდა. მან მიატოვა კნუტები და ხვრელიდან ეზოში გაძვრა. სწრაფად მიირბინა ნაგვის ყუთთან. ყუთი ცარიელი დაუხვდა: მეეზოვემ საღამოთი სულ გაზიდა ნაგავი.

მარუსკა მეზობელ დიდ ეზოში გაიქცა, სადაც ნაგვის რამდენიმე ყუთი იდგა და სადაც კატები აუარებელ საჭმელს პოულობდენ.

აქ მარუსკამ საჭმელი ბლომად იპოვა და ხარბად დაიწყო ჭამა.

როგორც კი მარუსკა ხვრელიდან გადმოხტა, დიდმა მამალმა კატამ იდროვა, თვალის დახამხამების უმალ სასურავიდან ხეზე გადახტა, ხიდან კი ხვრელში გაძვრა. მან მალე იპოვა კნუტები, მაგრამ მას მათი მიალერსება კი არ უნდოდა...

ზოგ მამალ კატას ერთი საშინელი ჩვეულება აქვს: ახლად-დაბადებულ კნუტებს ჭამს. თუ ასეთმა ,,კნუტიჭამიამ“ ერთხელ იგემა კნუტის ხორცი, შემდეგ მას ეს ჩვეულებად გადაექცევა.

ამიტომაც არის, რომ დედაკატა მალავს თავის ახლადდაბადებულ კნუტებს, რომ მამალმა კატამ არ მიაგნოს.

საწყალმა მარუსკამ თავისი შვილები ვერ გადაარჩინა ამ განსაცდელს.

როდესაც გამაძღარი დაბრუნდა იგი დუქანში, კალათში კნუტები აღარ დაუხვდა.

შეშინებულმა და თავზარდაცემულმა მარუსკამ მთელი დუქანი შემოირბინა, კნუტებს ეძებდა, საცოდავად კნაოდა, მაგრამ ამაოდ, კნუტები ვერსად ნახა. კნუტების ხორცით გამაძღარი მამალი კატა კი სახლის სახურავზე იჯდა და ტუჩებს ილოკავდა.

დიდხანს დარბოდა მარუსკა საკუჭნაოში და დუქანში ყოველ კუთხე-კუნჭულს სუნავდა, მაგრამ შვილები ვერსად ნახა...

მაშინ იგი ეზოში გადახტა, ხან ნაზად კნაოდა და კრუტუნებდა, ხან კი საზარელი ხმით ჩხაოდა...

ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს ხეტიალობდა ასე მარუსკა. აღმოსავლეთი ჰორიზონტი წითლად შეიღება: თენდებოდა. საცოდავი დედა კი დაუღალავად ეძებდა დაკარგულ შვილებს. ძუძუები რძით დაეტენა, უნდოდა ძუძუ მოეწოვებინა მათთვის, მაგრამ რომ ვერ იპოვა?!

ერთი ფარდულის გვერდით გავლის დროს მარუსკას ოდნავი, ძლივს გასაგონი წკმუტუნი მოესმა. მას ეს თავისი შვილების ხმად მოეჩვენა... შედგა... ყური დაუგდო... ფარდულში შეძვრა... იქ ყუთებს შუა მიწაზე რამდენიმე ახლადდაბადებული კნუტი ნახა. დედა კი მათ გვერდით არ იყო.

მარუსკამ ფრთხილად ჩაავლო კბილები ერთ კნუტს და დუქნისკენ გაექანა. სწრაფად ჩააწვინა კალათაში, გალოკა და ისევ სწრაფადვე დაბრუნდა უკან. მალე მეორე ,,კნუტიც“ მიიყვანა... მხოლოდ ახლა დამშვიდდა მარუსკა. იგი დაწვა მათ გვერდით. პაწიები ძუძუს წოვას შეუდგნენ. კატა სიამოვნებით კრუტუნებდა და ნაზად ლოკავდა თავის ახალ შვილებს. როგორც სწავლულმა ხალ-

ხმა გამოიკვლია, თვლა კატას მხოლოდ ორ ერთეულამდის შეუძლია. ორი ერთეულის შემდეგ ისინი დათვლის უნარს კარგავენ. ამიტომაც არის, რომ როდესაც მარუსკამ ორი ახალი შვილი მიიყვანა, იგი დარწმუნებული იყო, რომ ამის მეტი მას არ ჰყოლია, თუმცა ოთხი შვილი კი დაეკარგა.

მაგრამ იცოდა თუ არა მარუსკამ, რომ იგი აწოვებდა არა კნუტებს, არამედ ლეკვებს? ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. შეიძლება იგი გრძნობდა ამას, მაგრამ ვერ ერკვეოდა. კატები ხომ მალიან ნაზი დედები არიან. როდესაც ისინი თავის შვილებს ძუძუს აწოვებენ, ხშირად სხვა პაწია ცხოველებისათვისაც უწოვებიათ ძუძუ ისევე ნაზად და თავდადებულად.

იყო შემთხვევები, როდესაც კატებს ციყვები გამოუზრდიათ.

მელიების მოსაშენებელ ფერმებში, სადაც მეიჩვას მუქ ნაცრისფერ მელიებს ამრავლებენ, კატები ძიძებად მიუყვანიათ: ისინი აწოვებდენ ძუძუს მელიის ლეკვებს.

იქ, ფარდულში კი, საიდანაც კატამ შვილები წამოიყვანა, პაწია თეთრი ძაღლი ბიბკა იმყოფებოდა. ისიც მარუსკასავით საჭმლის საშოვნელად იყო წასული და როდესაც დაბრუნდა, სიყვარულით გალოკა პაწიები, ენით აწმინდა მათი სიბინძურე და დაწვა. ლეკვები ხარბად დაეწაფნენ ძუძუებს. ბიბკას სულ შვიდი ლეკვი ჰყავდა. ახლა მხოლოდ ხუთი დარჩა, მაგრამ ამას იგი სრულიად ვერ ამჩნევდა. ისიც, მარუსკასავით, თვლაში ცოტა მოიკოჭლებდა, მასაც სათვალავი ეკარგებოდა. ბიბკამ იცოდა მხოლოდ ის, რომ მას „ბევრი, ბევრი" ლეკვი ჰყავდა, ე. ი. ერთზე მეტი, იმდენი, რამდენიც დაყარა.

როდესაც ამალიამ დუქნის კარი გააღო და მხოლოდ ორი კნუტი დაინახა, მალიან გაუკვირდა, იგი ხუთ კნუტს ელოდა და მხოლოდ ორი დაიბადა. მაგრამ ამაზე იგი დიდხანს არ დაფიქრებულა, ლამბაქზე რძე დაასხა და კალათის გვერდით დადგა.

მარუსკამ სიამოვნებით ასლაპა რძე.

— დალიე, დალიე, ჩვენო კარგო მარუსკა, ჩვენო თაგვიჭერია. ახლა სამი თაგვიჭერია იქნებით, — და ამ სიტყვებთან ერთად ამა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლიამ ერთ კნუტს წამოავლო ხელი... მაგრამ უცბად გაყვითლდა: ხელში ლეკვი ეჭირა!

სიზმარი ხომ არ არის? რაშია საქმე?

— მამედ, ჩქარა მოდი, ჩქარა! — უცნაური ხმით დაუძახა მან თავის ქმარს. — შეხედე! მარუსკამ... ლეკვი შობა...

მსუქანმა სპარსელმა გაოცებით შეხედა ორ ლეკვს, მაგრამ არაფერი თქვა. მხოლოდ თავი გაიქნია, ტუჩები ააცმაცუნა და დუქანში შევიდა.

დანარჩენი ხომ იცით.

კატის მიერ ლეკვების დაყრის ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა ქალაქს, და ურიცხვი ცნობისმოყვარე გამოეშურა დუქნისკენ.

ბევრი მათგანი ახლაც კი დარწმუნებულია, რომ ლეკვები მართლა კატამ დაყარა და, ალბათ, არა ერთისა და ასისათვის უამბიათ ეს „გასაოცარი“ ამბავი.

ჩვენ კი, ბავშვებო, მარუსკასა და მისი შვილების ნამდვილი ამბავი ვიცით, ვიცით, რომ მაღლი კნუტებს ვერ დაყრის და კატა ლეკვებს, ვიცით, რომ ასეთი „სასწაულები“ არ ხდება.

თუ მოინდომებთ, პირველი შეხედვით გაუგებარი და გასაოცარი ამბავი სრულიად ჩვეულებრივი და ბუნებრივი აღმოჩნდება, — საჭიროა მხოლოდ კარგი დაკვირვება.

ე. მარკოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ქალაქისკენ

აი, დადგა შემოდგომა,
მოდის უხვად გრილი სიო,
ქალაქიდან წასულ ბავშვებს
ენატრებათ ტფილისიო...

დედა-შვილი ისხდენ ერთად,
ბაასობდენ ტკბილი ენით:
— ამწვანებულ ზურმუხტ მინ-
დვრებს
წიგნი გვიჯობს, წიგნი ჩვენი.

ეს მინდვრები, მდელოები
იელვარებს მუდამ ასე,
სწავლა უფრო კარგი არის
და აქვს მეტი სიმვირფასე.

ეს მინდვრები, მდელოები
იელვარებს მუდამ ასე,
გაისად რომ დავბრუნდები,
მოვალ ცოდნით უფრო სავსე.

ამ სიტყვებზე დედის გული
სიხარულით ცემდა სწრაფად,
თითქოს მასთან ვიღაც იდგა
და სიმღერას ასე წნავდა:

აი, დადგა შემოდგომა,
მოდის უხვად გრილი სიო,
ქალაქიდან წასულ ბავშვებს
ენატრებათ ტფილისიო...

ლავრ. ჭიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კასპიის ნაპირებთან

## 1

შემოდგომა იყო, მოწყენილი ქარიანი შემოდგომა.

სექტემბრის დღეები...

ბაქოს განაპირა უბნები, სარეწაოები და ნავთის ჭაბურღილები დანისლულიყო...

მაშინ ჯერ კიდევ ბრძოლა მიმდინარეობდა. თურქეთის ჯარი მოდიოდა ბაქოს წინააღმდეგ.

მენშევიკებმა და ესერებმა, რომლებიც ქალაქს მართავდნენ, თავი რომ ეხსნათ თურქეთისაგან, ინგლისელი იმპერიალისტების მოწვევა მოინდომეს.

ჩვენები — ბოლშევიკები — უცხოელი იმპერიალისტების „დახმარების" წინააღმდეგი იყვნენ.

მენშევიკ-ესერებმა მაინც თავისი გაიტანეს, და ბაქოს ინგლისელები დაეპატრონნენ.

აღშფოთებულმა ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს დაეტოვებიათ ბაქო და გამგზავრებულიყვნენ მახლობელ ბოლშევიკურ ქალაქში...

## 2

ნისლიანი დღე ღამდებოდა...

ნავსადგურში იდგა გემი „ალექსანდრ პუშკინი" და გამგზავრების წინ ბოლავდა.

ბაქოელი კომუნარები ტოვებდნენ ბაქოს.

გვიან ღამით გემმა მისცა საყვირი. შუაღამით უკვე გაშლილ ზღვაზე მიცურავდა.

ნელი-ნელ წვიმდა...

ზღვა ღელავდა... ცუდი ტაროსი დადგა. ირგვლივ არა იყო რა, ბნელი ღამისა და რუხი ტალღების გარდა.

განთიადისას საიდანღაც სროლა ატყდა. ზღვაში უცხოელების ჯავშნიანმა გემმა „ალექსანდრ პუშკინს" სროლა აუტეხა.

ბაქოელ ამხანაგებით სავსე გემი დააბრუნეს, მიმართულება შეუცვალეს...

და უკვე შუადღისას კომუნარები დატყვევებული გადმოუყვანიათ ქ. კრასნოვოდსკის ნავსადგურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშმაგებით ბერავდა ქარი...

საღამოს ისევ გაწვიმდა...

კომუნარები ისევ დაპატიმრებული იყვნენ.

უახლოესი ბოლშევიკური ქალაქებიდან ჩვენები მათ განთავისუფლებას ითხოვდნენ...

ინგლისელები დუმდნენ. დუმდა ინგლისელი რეჯინალდ ტიგჯონსიც.

მიდიოდა სექტემბრის ნაცრისფერი დღეები.

ისევ ქარი ქროდა და ხშირად წვიმდა...

კომუნარები ისევ ტყვედ იყვნენ... ბაქოში დინჯად დააბიჯებდნენ ინგლისელები... ფრიალებდა მათი ფაფარგადაშლილი ლომიანი სამფეროვანი დროშა, და ქუჩებშიც დააჭენებდნენ ინგლისურად შეკრეჭილ ცხენებს...

### 3

19 სექტემბრის უფერული დღე ღამდებოდა... კრასნოვოდსკის რკინისგზის სადგურში ბლომად ირეოდა ხალხი...

სადგურის წინ პირველ ლიანდაგზე გასამგზავრებლად გამზადებული მატარებელი იდგა...

ორთქლმავალი ადამიანივით გმინავდა.

სადგურზე ნერვიულობდა ინგლისელი რეჯინალდ ტიგჯონსი, აბოლებდა ინგლისურ სიგარეტს და გაუგებარ ენაზე განკარგულებებს იძლეოდა...

ღამით ოცდაექვსი კომუნარი საგანგებო ვაგონში დააბინავეს.

ბნელი ღამე იყო...

კრასნოვოდსკიდან აშხაბადის მიმართულებით გვიან გავიდა ქშენით მატარებელი...

— ინგლისელებს ინდოეთში მიუავთ ტყვეები! — ამბობდნენ იმ ღამით სადგურზე...

მატარებელი კი მიქროდა ქვიშიან გორაკებსა და ნაცრისფერ სივრცეებში.

სადღაც შორს ზანტად მიიზლაზნებოდა აქლემების ქარავნები. ისმოდა ზარების წკარუნი, ცაზე ნაცრისფერი ღრუბლები და მთვარე იყო...

შვიდ საათს იარა ორთქლმავალმა შეუსვენებლივ.

იმ ღამეს მთვარე გვიან ჩავიდა...

განთიადი ახლოვდებოდა, ორთქლმავალი რომ შეჩერდა.

ირგვლივ ველები იყო...

შორს კი სადგური ახჩაკუიმი.

კომუნარები გადმოუყავდათ მატარებლიდან. უდაბნოში საოცარი დუმილი იდგა. შორს კასპიის ტალღები ჯავრობდენ, ესეთქებოდენ ნაპირებს.

კომუნარები თავდახრით მიდიოდენ... ინგლისელები დინჯად აბოლებდენ სიგარეტებს...

უეცრად კომუნარების ჯგუფიდან გამოცალკევდა კაცი მეზღვაურის ტანსაცმელით. მან ხმამაღლა დაიწყო:

— მე გულდამშვიდებით ვარ, მე ვიცი, რომ თავისუფლებისათვის ვკვდები!

ინგლისელი იღიმებოდა.

უდაბნოში სამჯერ დაიგრიალა თოფებმა, და ტრიალმა ველებმა სამჯერვე გაიმეორეს ის...

— ჩვენ ისევ მოვალთ...

ხრიალებდა რომელიღაც მომაკვდავი.

იქვე ოცდაათი მეტრის მანძილზე იდგა ორთქლმავალი და ბოლავდა.

ინგლისელი კი ზიზღით იწმენდდა ჩექმაზე მოცხებულ კომუნარის სისხლს...

უკვე ალიონი იყო...

ქროდა მალუმი ქარი და ერთმანეთში ურევდა სილასა და მტვერს...

ისინი დაიღუპნენ ქვიშიან გორაკებს შორის, სადაც ქარი, მტვერი და სილაა...

დავ. შამათავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი ქარავანი



## I

ცივგომბორის მთების კალთებს ღრუბლების ჩრდილი გადაჰფარებოდა და ამ ჩრდილების ქვეშ დასახლებულ სოფლებს მთის წვერებიდან მონაბერი ნიავის სიხინი უგრილებდა შუბლს.

ეზოში პატარა ბავშვები გამოშლილიყვნენ. მათი მხიარული კიჟინი იკლებდა ახლომახლო უბნებს.

ერთი პატარა სახლის წინ მოღობილ ეზოში შესამჩნევი იყო სხვა ხმაურობასთან ბავშვების ჟრიამული. მათ ნიშნად დაესვათ ბრტყელი ვა და ბურთს აგორებდენ.

ამ ბავშვებთან ობოლი კაკალაც თამაშობდა.

— აი, თედო, ეს მეორედ მოვარტყი, დაიხსომე, მერე არ მიშარო, — უთხრა კაკალამ თავის მოპირდაპირეს.

— არა, არა, მეც თვალს გადევნებ.

ბავშვები გართობილი იყვნენ ჩილიკა ჯოხის თამაშით. ამ დროს გაისმა საყვირის ხმა. ყველამ ყურები აცქვიტეს და იქითკენ მიიხედეს, საიდანაც ხმაურობა მოდიოდა.

მოსახვევში გამოჩნდენ რიგებში მდგომი ბავშვები. წინ მოდიოდენ წითელი დროშით, ბარაბანითა და საყვირით. სხვა დანარჩენები კი მათ უკან ჩამწკრივებულიყვნენ.

კაკალამ მოჰკრა თუ არა თვალი, მოსწყდა ამხანაგების ჯგუფს და თვალის დახამხამებაში წინ შეეგება მომავლებს. კაკალა მიხვდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომ მწკრივში მდგომი ბავშვები საექსკურსიოდ მიდიოდნენ. ისინი ტყისკენ მიემართებოდნენ.

კაკალას თანდათანობით შორდებოდნენ ბავშვები და მის გულსაც დაღვრემილობა ეხვეოდა; მაგრამ მან უცბად თვალი მოჰკრა თავის ბიძაშვილ ლვინიას. მის დანახვაზე კაკალას პატარა გონებაში ერთმა საიმედო აზრმა გაუელვა. მოტრიალდა და სახლისაკენ ისე მოკურცხლა, რომ უკან ერთხელაც არ მოუხედავს. მას თვალწინ ედგნენ თავისი ტოლი ოქტომბრელები, რომლებმაც ასე დაალონეს. ისე იყო კაკალა გართობილი ფიქრებში, რომ ვერც კი გაიგო, როგორ მივიდა სახლამდის.

ადრე დაქვრივებულმა მელანომ, კაკალას დედამ, ერთის შეხედვით ამოიკითხა ბავშვის სახეზე, რომ მას რაღაცა აწუხებდა.

— გენაცვალოს დედა, შვილო, ვინმემ ხომ არა გცემა? — ჰკითხა დედამ. კაკალა ხმის ამოუღებლად მივიდა დედასთან და კალთაში ჩაუჯდა. მელანოს გული არ უთმენდა, ხან რას შეეკითხებოდა, ხან რას... რამდენიმე კითხვის შემდეგ კაკალამ უპასუხა:

— დედილო, მე ოქტომბრელებში მინდა ვიარო... მეც იმათსავით თეთრი ხალათი მინდა მეცვას და ლურჯი შარვალი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელანომ ვეღარ მოითმინა და ალერსით გადაკოცნა თავისი ბიჭიკო.

— კარგი, შვილო, კარგი, თუ კი ასეთი სურვილი გაქვს, უფრო უნდა იმხიარულო.

ერთხელ კიდევ გადაკოცნა თავისი შვილი და რამდენიმე სიტყვით დაამედა, რომ სურვილს აუსრულებდა.

კაკალა მხიარული სახით შესცქეროდა დედას თვალებში, მელანომ კი საოჯახო საქმეები განაგრძო.

## II

მეორე დღეს კაკალა დილიდან მოუთმენლად ელოდებოდა დედას, თუ როდის ეტყოდა: — წავიდეთ, შვილო, ოქტომბრელებშიო.

ამ ლოდინში მზე ჩრდილოეთისაკენ გადაიხარა და ცივგომბორის მთების წვერებს დაუახლოვდა.

— ჰა, დედილო, არ მოვიდა წასვლის დრო? — განუმეორა კითხვა კაკალამ.

— ჰი, შენ კი გენაცვალოს დედა, შენ ისევ მაგაზე ფიქრობ' ჩემო ცუგრუმელა? წავიდეთ, შვილო, წავიდეთ.



— აბა, თუ წავალთ, რაღას უცდი! — საყვედურის კილოთი უპასუხა კაკალამ.

მელანო გამოეწყო ასალგაზრდა ქვრივის ტანსაცმელში, როგორც მის ოჯახს ხელი მიუწვდებოდა, კაკალასაც ჩააცვა სუფთად დაკერებული შარვალ-ხალათი, პირი დაჰბანა და წავიდნენ ოქტომბრელთა კუთხისაკენ.

ოქტომბრელთა კუთხე არ იყო შორი მანძილით დაშორებული მელანოს სახლიდან.

დედა-შვილი მალე მივიდენ ოქტომბრელთა კუთხეში. მელანო მოკრძალებით მიესალმა იქვე მდგომ კოლექტივის ხელმძღვანელს, კაკალა კი თავდახრილი ეფარებოდა დედის კალთას.

— რა გნებავთ? — შეეკითხა მელანოს კოლექტივის ხელმძღვანელი.

— ჩემ ბიჭუნას სურს იაროს თქვენთან. გუშინ დაენახა, გზაზე რომ გამოგევლოთ, და გულდაწყვეტილი შემეხვეწა: დედილო, მეც მინდა ოქტომბრელებში ვიაროო.

კოლექტივის ხელმძღვანელმა გადაუსვა თავზე ხელი კაკალას და ოქტომბრელთა გვარების სიაში ჩაწერა, შემდეგ კი რამდენიმე სიტყვითაც* დაარიგა.

— კარგ დროს მოგვისწარ, კაკალა, ახლა ბაკურის ციხის ნანგრევებისაკენ უნდა გავისეირნოთ; ცოტაც რომ დაგვეგვიანა, ველარ მოგვისწრებდი.

მეტის სიხარულით აღელვებული კაკალა ღვინიასაკენ გაიქცა, იმას არ ესმოდა, ფეხებს მიწაზე ადგამდა თუ ჰაერში მიფრინავდა.

მელანო გამოემშვიდობა ოქტომბრელთა კოლექტივის ხელმძღვანელს და შინისაკენ წავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კოლექტივის ხელმძღვანელმა გამოიტანა დროშა და მაღლა ასწია. ასე ეჭირა გაჩერებული რამდენიმე წუთს.

ეზოში გაფანტულმა ოქტომბრელებმა მის დანახვაზე იწყეს მოგროვება. ოქტომბრელები საჩქაროდ შეგროვდენ და გარშემორტყმულები ფარავდენ თავიანთ ხელმძღვანელს.

— ბავშვებო, დღეს უნდა ვესტუმროთ ბაკურის ციხის ნანგრევებს...—ხელმძღვანელმა ველარ დაათავა სიტყვები, რომ ბავშვებმა ატეხეს კიჟინა.

— წავიდეთ, წავიდეთ!—იძახდენ ყველანი ერთდროულად.

გახარებული ბავშვები დაეწყვენ მწკრივში და გაემგზავრენ ბაკურის ციხის ნანგრევებისაკენ.

ბაკურის ციხე სოფლის განაპირას იმყოფებოდა ცივგომბორის მთის კალთების ამაღლებულ გორაკზე. გარშემო ჰქონდა დაქანე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბული ფერდობები, რომელთაც ალაგ-ალაგ დარაჯებივით ედგენ ასწლოვანი მუხები.

პატარა ოქტომბრელები მალე მივიდენ ბაკურის ციხესთან.

ხელმძღვანელის განკარგულებით ოქტომბრელებმა რიგები დაშალეს.

ნაირნაირ ტანსაცმელებში გამოწყობილი ბავშვები ფერდობს გაზაფხულის პირველ ყვავილებივით ამშვენებდენ.

პატარა ოქტომბრელების ჟივილ-ხივილს მთებიდან გადმოჭრილი საღამოს ნიავი იტაცებდა, და მათი ხმები დაუსრულებელ სივრცეში იკარგებოდა.

მხიარულად ნავარდობდა ფერდობზე სხვა ბავშვებთან ერთად პატარა კაკალაც.

ხელმძღვანელმა რამდენიმე ხნის შემდეგ ბავშვებს ერთ ადგილზე შეგროვება ანიშნა.

წითელი დროშა მაღლა ასწია და ასე გაჩერებულიყო რამდენიმე წუთს. პატარა ბავშვებმა მის დანახვაზე იწყეს ხელმძღვანელისაკენ მისვლა. ღვინიამ შენიშნა, რომ მისი პატარა ბიძაშვილი კაკალა დროშას ვერ ხედავდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰკივლა:

— კაკალა, ჰაი, კაკალა, აქეთ წამოდი, აქეთ... ხელმძღვანელთან...

ბურჯების ნანგრევებთან მოჩანდნენ სირბილში შეჯიბრებული ტოლი ბიჭები და მათ შორის ოფლში გაწურული კაკალაც.

— აგერ გაიხედე, თიკო, როგორ მორბის წინ ლევანი, — მიახედა სწრაფად თამარამ.

— არა, არა, კაკალა უფრო წინ არის, აბა კარგად დააკვირდი, როგორ დაწინაურდა, — უჩვენებდა თიკო თამროს.

— ყოჩაღ, კაკალა, კარგი სირბილი გცოდნია! უთხრა ხელმძღვანელმა შეჯიბრებაში გამარჯვებულ კაკალას. ამასობაში ყველანი მოგროვდნენ და უკვე გარკვევით ისმოდა მათი ხმამაღალი საუბარი.

— ხომ არავინ არის, ბავშვებო, შორს დარჩენილი ჩვენგან?

— ყველანი აქ ვართ, — იყო საერთო პასუხი.

— სიჩუმე, ბავშვებო, ერთი საინტერესო ამბავი უნდა მოგითხროთ.

ამ სიტყვებზე ყველა სმენად გადაიქცა, ბუზი რომ გაფრენილიყო, იმასაც კი გაიგონებდნენ.

— ბევრმა თქვენგანმა არ იცის, თუ რატომ ჰქვია სოფელს ბაკურციხე, არა? — შეეკითხა ხელმძღვანელი ბავშვებს.

მე გიამბობთ უძველესი დროიდან დარჩენილს თქმულებას, რომელიც ნაწილობრივ სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს. აი, ხომ ხედავთ ამ ნანგრევებს, რომელზეც თქვენ ისხედით და კენჭებს ისროდით. ეს ნანგრევები ერთ დროს მკვრივი ციხე-სიმაგრე იყო. ის აუშენებია კალატოზს, სახელად ბაკურს; ეს ციხე-სიმაგრე ყოფილა იმდროინდელი მცხოვრებლებისათვის შემოსეულ მტრებისაგან თავშესაფარი. გავიდა ხანი. ციხემ თავისი მნიშვნელობა

დაკარგა. მაგრამ კიდევ დარჩენილა მისი ნაშთები. ციხეს, რომე-ლიც ბაკურს აუშენებია, ეწოდა ბაკურის ციხე და მის მახლობლად მდებარე სოფელსაც — ბაკურციხე.

ოქტომბრელებმა ჩურჩული დაიწყეს.

— ჩიჩუმე, ბავშვებო, ახლა ერთი სასიხარულო ამბავი უნდა გითხრათ: ხვალ, დილით ადრე, უნდა მოხვიდეთ სასოფლო საბჭოს ეზოში. ჩვენ პიონერებთან ერთად უნდა გავაცილოთ ბაკურციხის თემში პურის დამზადებაზე შეგროვილი ხორბლის წითელი ქარა-ვანი. დედას დაავალეთ დილით ადრე გაღვიძება, ისე რომ მზემ არ მოგასწროთ ამოსვლა და არ დაიგვიანოთ. ახლა კი დაეწყვეთ მწკრივში და გავსწიოთ შინისაკენ.

ბავშვებმა მხიარული კიჟინი ატეხეს და მწკრივში დაეწყვნენ.

ოქტომბრელების მწკრივები მალე მიეფარა სოფლის ორღო-ბეებს.

ბაკურის ციხის ნანგრევები და მის დაქანებულ ფერდობებზე ამართული მუხები კი დარჩნენ ისევ ღრმა ფიქრებში გახვეულები.

## III

მეორე დღეს, ალიონზე, ბაკურციხის სასოფლო საბჭოს წინ გლეხების მხიარული ხმები ისმოდა.

ყველა რაღაცას ფუსფუსებდა, ზოგნი ურმებს ტვირთავდნენ და ხორბლით გავსებულ ტომრებს ერთმანეთზე აწყობდნენ, ზოგნი დროშებს ამაგრებდნენ ურმის ჭალებზე, მეურმე გლეხები კი სიფრ-თხილისათვის ურმის ტაბიკებსა და აპეურებს სინჯავდნენ, რომ შარა-გზის აღმართ-დაღმართებში სიფათი არ შეხვედროდათ. ყველა აქეთ-იქით დარბოდა, ყველა წითელი ქარავნის სამზადისში იყო.

პატარა ოქტომბრელები, მწკრივში დაწყობილნი, სიარულით ფეხებსავარჯიშებდნენ, კოლექტივის ხელმძღვანელი კი ხმამაღლა თვლიდა:

— ერთი, ორი! ერთი, ორი!

საერთო ფაციფუცითა და მოწადინებით წითელი ქარავანი ჩქა-რა მოემზადა, რომ დარაზმული გასდგომოდა მუკუზანისაკენ მიმა-

ვალ შარაგზას ასსე მეტი ხარ-კამეჩის და ცხენის ურმებით, რომლებიც დატვირთული იყო ხორბლის ტომრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საერთო მოლოდინსა და აურზაურში უცბად შეიჭრა ზარის წკრიალის ხმა.

გლეხები გაჩუმდენ. ალაგ-ალაგლა ისმოდა თავშეკავებული ხმების ჩურჩული, რომ იქვე ბაკურციხის საბჭოს თავჯდომარის სიტყვებმა:

— ამხანაგებო, დღეს წითელი ქარავანი გაემგზავრება მუკუზანში, პურის დამამზადებელი პუნქტისაკენ. ბაკურციხის თემმა ასი პროცენტით შეასრულა პურის დამზადებაზე დაკისრებული გეგმები. მოგიწოდებთ, მშრომელო გლეხებო, რომ ყოველთვის ასე გმირულად ხვდებოდეთ ჩვენზე დაკისრებულ გეგმებს!

საბჭოს თავმჯდომარის სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა.

ამ დროს წითელ ქარავანს კავკასიის მთების წვერებზე ამოცურებული მზე მიესალმა და სხივებით გადაუკოცნა ტუჩები იქ დამსწრე გლეხებს.

დაიძრა წითელი ქარავანიც და ჭრიჭინით გაუდგა მუკუზანისკენ მიმავალ შარაგზას.

ქარავანს წინ პატარა ოქტომბრელები და პიონერები მიუძღოდენ. მსმენელის ყურს ატკბობდა მათი სიმღერის ხმა და დროგამოშვებით კი საყვირების ხმაური.

კაკალაც მათთან ერთად თავაწეული მტკიცე ნაბიჯით მიემართებოდა წინ და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა სისხლისფერი დროშა ხელში დააჭერინეს. დღეს ბედნიერი იყო კაკალა და მისი ქვრივი დედა მელანოც!

წითელი ქარავანი კი ნელნელა კეცავდა შარაგზას და მიიკლაკნებოდა მისახვევ-მოსახვევებში.

ვახტანგ პეტრიაშვილი

# ბეჯითი მოწაფეები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„სასწავლო წელი რომ დგება,
დასვენება კმარა.
გასწი, ბიჭო, სკოლისაკენ
მუყაითად ჩქარა!“
ასე უთხრა თეომ სისოს,
გადაფურცლა წიგნი
და მიუჯდა გაკვეთილებს
სიხარულით იგი.
—თეო, ხედავ, დავალება
შევასრულე როგორ:
კოლექცია შევაგროვე,
შე ზარმაცო გოგო.
—ზარმაცი და მილისგუდა
შენა მყავხარ, სისო,
შენი წიგნი მხოლოდ არის
მურია და ფისო.
—ჰა, უყურე რაებს ბედავს!
ჩუმად, ცელქო ქალავ,
შენი ცოდნა, შენი წიგნი,
არის დედოფალა.
—დედოფალა! ხა-ხა-ხა-ხა!
ნუთუ მართალს ამბობ!
მოვრჩეთ, სისო, ასეთ ამბებს,
ეს აჯობებს, კარგო.
თამაშობა შემდეგ იყოს,
წიგნი გადაშალე,
გაკვეთილი გაიკვეთე,
შეისწავლე მალე.
—ჰა, უყურე, რა კარგია
ეს მოთხრობა „ნადი“!
შეხე, ყანას როგორ მკიან
გოგუცა და ლადი!
მოხუც პაპას, მია გაბროს,
კევრი როგორ ხვნეშის,
ხედავ—არტელს კოლმეურნე
როგორ უდგას მხრებში!
ქარავნებსაც დამიხედე,
ჰაუ, რამდენია!
ურმის კოფოს დასტრიალებს
კოლმეურნე მია.
დედა ღიმილს ვერ იკავებს,
გულში იკრავს ნორჩებს,
ეუბნება ცუგრუმელებს
კამათობას მორჩენ.
სასწავლო წელი რომ დგება,
დასვენება კმარა,
ცოდნისაკენ მისწრაფება,
„სწავლა, სწავლა, სწავლა!“

ავთანდილ კაშმაძე.

# რა? როგორ? რისთვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. როგორ ამოვიდა ძველი სახლის სახურავზე არყის ხე?
2. შეიძლება თუ არა ბუჩქებს ულვაშები ამოუვიდეს?
3. როგორ გადადის ადგილიდან ადგილზე პატარა ბორცვი?
4. შეუძლია თუ არა პატარა ხოჭოს წააქციოს დიდი კარადა?
5. შეუძლიათ თუ არა ობობებს ფრენა?
6. როგორ წველის ჭიანჭველა ძროხას?
7. როდის არის მუმლის ფრჩხილი ყველაზე დიდი ცხენის ჩლიქზე უფრო დიდი?

1. დაგინახავს თუ არა რომელიმე პატარა ძველი სახლი? ასეთი სახლები თანდათან იშვიათად გვხვდება, — იმათ ადგილს იჭერენ უზარმაზარი ქვის სახლები. ერთ ასეთ პატარა სახლზე მე დავინახე პატარა არყი, რომელიც სახურავზე იზრდებოდა. ქარმა ჯერ მიწა მიიტანა იქ და მერე კი არყის თესლი. გავიდა რამდენიმე წელიწადი; სახურავზე ამოვიდა პატარა არყი, ირგვლივ კი ბალახი ამწვანდა.

2. შენ იცინი და მარწყვის ბუჩქებს კი ნამდვილად ამოსდით გრძელი მწვანე ულვაშები. ულვაშის ბოლოში ჩნდება კვირტი. კვირტებიდან იზრდება პატარა ბუჩქი. ის უშვებს მიწაში ფესვებს. ასე იზრდება მარწყვის ახალი ბუჩქი.

3. ადგილიდან ადგილზე მხოლოდ ქვიშის ბორცვები გადადის. ის შეიძლება დიდი იყოს, შეიძლება მოზრდილი სახლის ოდენაც იყოს. ასეთ ქვიშის ბორცვებს ბარხანებს უწოდებენ. ქარს მიაქვს ეს ბორცვები და მუდმივად გადააქვს ქვიშა მეორე ადგილზე. ხედავ — გაჩნდა ახალი ბორცვი, პირველი კი აღარსად არის, ბორცვი ერთი ადგილიდან მეორეზე გადავიდა.

4. არიან ხოჭოები, რომლებიც ცხოვრობენ ხის კარადის კედლებში. ისინი თავისთვის ხეში გზას ღრღნიან, და ხის კედლები იღრღნება. თუ კარადაში ბევრი ასეთი მღრღნელი გაჩნდება, კარადა ბოლოს მთლად დაიშლება. მაშასადამე, პატარა ხოჭოს შეუძლია დიდი კარადა წააქციოს.

5. ზოგიერთ ობობებს შეუძლიათ მინდვრიდან მინდორში გადაფრინდნენ. შეუძლიათ უფრო შორსაც გადაფრენა, არა ნაკლებად, ვიდრე ჩიტებს. ისინი უშვებენ გრძელ ქსელს — ვერცხლის ძაფებს. ქსელს მოიტაცებს ქარი და მიაქვს. და იმ ქსელთან ერთად მიფრინავს ჰაერში პატარა ობობაც. ასე ფრინავენ ობობები შემოდგომაზე.

6. ჭიანჭველები ხეებზე, ფოთლებსა და ღეროებზე პოულობენ პატარა მწერებს — მღილებს. ჭიანჭველა უღიტინებს მღილებს ულვაშებით, და მაშინ მღილს ტკბილი წვეთი გამოსდის. ეს ჭიანჭველასთვის რძის მაგიერია, მღილი კი მისთვის ძროხას წარმოადგენს. რომ მღილები მუდმივად წველონ, ჭიანჭველები იფარავენ მათ სხვა მწერებისაგან. ზოგჯერ ჭიანჭველები აწყობენ სპეციალურ ღობეებს, რომ მღილებთან არავინ აცოცდეს.

7. არის ისეთი ხელსაწყო, რომელსაც მიკროსკოპი ჰქვია. შიგ არის მოთავსებული გამადიდებელი შუშები. ამ შუშების საშუალებით ყველაზე პატარა მწერი ათასჯერ უფრო დიდი მოჩანს, ვიდრე ის ნამდვილად არის. თუ მიკროსკოპით შეხედავთ პატარა მუმლის ფრჩხილს, ის უფრო დიდი იქნება, ვიდრე დიდი ცხენის ჩლიქი.

ნ. კუტუზოვა

თარგ. ე. ა.

# არდადეგების მიწურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე, მიწურული დასავლეთის,
ცეცხლოვან გლობუსს მოჰგავდა!
სოფლის ნაპირას ნასამხრევს
მთელი ოჯახი ბორგავდა.

ბორგავდა წელში მოხრილი
ოთხმოცწლოვანი დიდედაც,
და ორმიმოთი ბიძია
ქვევრიდან ღვინოს იღებდა.

იდგა ბავშვების ხარხარი,
გოჭიც ჭყიოდა, მგონი, და
იქვე ბაბუა მახარა
ლადოსთვის ბარგსა კონიდა.

კოლექტიური ბარაქით
სავსე ბავშვები ღვიოდენ:
მიაცილებდენ ქალაქად
ლადოს—ქალაქელ პიონერს.

—კიდევ ჩამოდი, ლადიკო!—
ეუბნებოდა ოთარი...
პატარა კოლაც აქ იყო,
ვერ ისვენებდა მშფოთავი.

—კიდევ დავუდგათ კოლექტივს
წარმოდგენები მრავალი,
შენ გვეყოლები მელექსედ,
მე სუფლიორად გავალო.

„ბარგი მზად არის, აჩქარდით!“
მოისმა უცბად სახლიდან.
—ნახვამდის, ძმებო, ნახვამდის!
და ჭრიამული გახშირდა.

შეწყდა ხმაური, ხარხარი,
გოჭი ჭყიოდა კენტადა,
მხოლოდ ბაბუა მახარა
ცერზე ყალიონს ბერტყავდა.

გ. კალანდაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბუნების ნიღაბი

(დასასრული)

ერთბაშად გაისმა ნუნიკის მკვეთრი ხმა.

— აი უყურე, რა ვიპოვე, ამხანაგო ბაბკენ! და იგი გულზე თვალმოუშორებლად დაიძრა კოლექტივის ხელმძღვანელისაკენ.

სხვები სირბილით მიუახლოვდნენ მას.

— ეგ რა ჩანს ფრთებზე, ნახეთ, რა კარგია, რა მშვენიერი! წითელი, შავი წერტილებით....

— სად არის, სად?

— აბა, აბა,—ყოველი მხრიდან წაგრძელეს კისრები ყმაწვილებმა.

მაგრამ სანამ ნუნიკი მიახლოვდებოდა კოლექტივის ხელმძღვანელთან, ლამაზი მწერი აფრინდა მის ცერზე, წითელი ხუფის ქვეშიდან ამოიღო ერთი წვრილი წმინდა გამჭვირვალე ფრთები და გაფრინდა.

— ვაააა!—დაიღრიალეს პირგაღებულმა ბავშვებმა, და მშვენიერ მწერთან ერთად გაფრინდნენ ყველას თვალები.

— უნდა ჩასვათ იმ წამსვე ყუთში, რომ არ გაიქცეს,—უთხრა მათ ამხ. მანუშმა,—მწერმაც იცის თავის დაცვა.

— ეგ რა მწერი იყო, ამხ. მანუშ?

— რა გითხრათ, რომ არ მინახავს?

— წითელი, წერტილიანი!

— ამოდენა, აი, ასეთი; მანუშ, ამხ. მანუშ!—დასძახეს მეორე მხრივ,—ჩვენ გვეგონა ბალახი იყო, ერთი უყურეთ, უყურეთ,—და მართლაც, მწვანე ბალახისაგან არ განსხვავდებოდა მისი ნაპოვნი.

— მუხლუხოა, ხედავთ? სრულიად მწვანე, ბალახის ფერი, ამით იცავს იგი თავს.

— ვისგან უნდა დაიცვას თავი, ამხ. მანუშ? ვინ არის მაგისი მტერი?

— ვინ არის? ბევრისაგან ბევრი ფრინველისათვის უგემრიე-ლესი საჭმელნი არიან ეგენი, მაგრამ, მაგათი ფერის მიხედვით, ბევრნი ვერ ამჩნევენ მწვანეულს შორის.

— ვაა!

— მაშ რა გგონიათ? იცით, რამდენ ზიანს გვაძლევენ ეგენი ჩვენ!

— რით?

— იმით რომ ჭამენ, ანადგურებენ ქორფა მცენარეებს.

— მაგათ რა უნდა გაანადგურონ ამოდენა მინდორში, რა ზია-ნის მოტანა შეუძლიათ!

— რას ამბობთ! ცდებით, თქვენ გგონიათ, ეგენი ცოტას ჭამენ? ეგენი ჭამენ ხანგრძლივ, დაუბრკოლებლივ, ამავე დროს მარტო მინდვრის ბალახებს კი არ ჭამენ, აფუჭებენ ბოსტნებს, ხეების ფოთლებსა და ყვავილებს, ხილსა და ბაღებს. და შეუძლიათ ისე ჭამონ, რომ მთელ ბაღში ერთი ცალი ხილიც ვერ იპოვოთ საჭმელად.

— ამხანაგო მანუშ, განა რა არიან ასეთები, — გაუკვირდათ ხელმძღვანელმა... ხელმეორედ.

— მაშ რა გგონიათ, ეგენი და მაგათი მსგავსები არიან, რო-მელთა წინააღმდეგ ჩვენ ვიბრძვით, ეგენი არიან ჩვენი ბოსტნებისა და ნათესის მავნებლები.

— როგორ ვებრძვით, ამხ. მანუშ?

— მოვწამლავთ, წამლებს შევაპკურებთ...

— მათ ფრინველები ანადგურებენ?

— ჰო, ფრინველებიც, ისინი ჩვენი საუკეთესო მეგობრები არიან ამ მხრივ, მათი ჯგუფები ყოველდღე, რამდენიმე ათეულ ათას მუ-ხლუხოს ანადგურებენ, ჭამენ თვითონ, კვებავენ თავიანთ ბარტყებს. ამიტომ ჩვენ ნიბლიებისათვის ხულებს ვაკეთებთ, რომ ისინი უზრუნველად დარჩნენ, ბარტყები გამოჩეკონ და ბევრი მუხლუხო შეჭამონ.

— მაშ ყველა მწერი მავნებელებია?

— არა, რატომ ყველა, სასარგებლო მწერიც ბევრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ დროს ზუილი გაისმა.

— აი, კარგი შემთხვევაა, უცქირეთ ამ ყვავილზე მჯდომარე ფუტკარს, ნახეთ, როგორ მვრება ის ყვავილის ბუტკოში. ახლა მეორეში შევიდა. ასე დაუზოგლოვებლივ შრომობს იგი მთელი დღეტკბილ ნექტარად წოდებულ სითხეს წუწნის ყვავილებიდან და მისგან თაფლს ამზადებს. ხომ იცით, თაფლი რა არის? ყველას გიჭამიათ.

პატარებმა გაიღიმეს.

— მაშასადამე, ფუტკარი სასარგებლო მწერია, — დაამთავრა ამხანაგმა მანუშამ.

— ყვავილს კი ზიანს არ აძლევს?

— პირიქით, სარგებლობა მოაქვს, ის ერთი ყვავილიდან მეორეზე გადადის, ერთი ყვავილის მტვერი მიაქვს და მეორეში ურევს — ანაყოფიერებს.

— ამხანაგო მანუშ! რომ ამბობთ ტკბილი ნექტარი არსებობსო, თქვენ გიჭამიათ?

— რასაკვირველია, ნუთუ თქვენ არ გიჭამიათ? აკაციის ყვავილი არ გიწუწნიათ?

— ჰო, მართლაც, მე მიწუწნია, ტკბილია.

— მეც მიწუწნია...

— მეც მიწუწნია, — ერთიმეორის შემდეგ გაიმეორა რამდენიმე ბავშვმა.

— აი, — განაგრძო ისევ ამხ. მანუშამ, — ბოსტნეულის მსგავსი მცენარე, რომელზეც ამ წუთში იჯდა ერთი ფუტკარი...

და მანუში უკან მობრუნდა, მოგლიჯა ტოტებთაგან ერთი ცალი, რომელზეც ბევრი ლურჯი ყვავილი ესხა, განაგრძო თავისი გზა და საუბარი ბავშვებთან.

— აი ვცადოთ, — და მასწავლებელმა ქალმა სიფრთხილით გასწია, ამოიღო ყვავილის გვირგვინი და მიუახლოვდა პატარებს — აბა მოწუწნე!

სცადეს: ერთმა, მეორემ, მესამემ.

— დიაღ, ტკბილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თითქო თაფლია!

— სწორედ თაფლისთვის აგროვებენ ფუტკრები ამ ყვავილს. თუ გნებავთ დარწმუნდეთ, რომ ფუტკრები ნამდვილად წუწნიან, სცადეთ ამისი ყველა ყვავილიდან წუწვნა, და თქვენ დაინახავთ, რომ ყველა ტკბილი არ არის, ეს ნიშნავს, რომ იქედან უკვე მოუწუწნიათ მათ.

## V

ამხანაგ მანუშს ჯერ არ დაესრულებია თავისი განმარტება, რომ უცბად გაისმა „ბზზ... ბზზ...“ რაღაც ერთი ბუზანკალა ფრენით მოვიდა ბავშვებთან და დავარდა მწვანეზე.

ბავშვები ჯერ უკან გაიქცენ, შემდეგ ჯგუფად ზედ დაეცენ დასაჭერად. ის საკმაოდ დიდი იყო, თითქმის ბავშვების ცერისოდენა, სპილენძისფერი ბუზანკალა, ისიც იმ წამსვე დაიჭირეს, მოათავსეს კოლოფში და მოიტანეს საჩვენებლად.

— ეს კარგი რამ გიპოვიათ. მაგას ყველანი კარგად უნდა გაეცნოთ, ბავშვებო! ეს ერთი საშინელი ურჩხულია ბაღებისათვის, მაგას მაისის ბუზანკალა ჰქვია. რომელ წელსაც ესენი მრავალი არიან, იმ წელს ხეები ტიტვლდება, ესენი მთლიანად ჭამენ ფოთლებს და ტიტველს ტოვებენ, ხოლო ხე უფოთლოდ იგივეა, რაც ადამიანი უფილტვოდ.

— წყალი, წყალი!

— წყალი? — დაიყვირეს წინ წასულებმა, და განგაშით გაიქცენ ბავშვები ხევში გამოჩენილ პატარა რუსაკენ.

რუს ნაპირას მათ ნახეს ისეთი ახალი სახის მწერები, რომელთა მსგავსი არ ენახათ მინდორში. წყლის ბალახებსა და ყვავილებზე სხდებოდენ ერთგვარი ბრწყინვალე და გამჭვირვალეფრთებიანი მწერები, რომელნიც არც პეპლები და არც ბუზანკალები არ იყვნენ. ბევრი იწვალეს ბავშვებმა. სანამ დაიჭირეს ერთი მათგანი.

— ესენი ჭრიჭინებია, — თქვეს ბავშვებმა. წყლის ნაპირას. ბალახებზე პეპლებიც ჩამოდიოდენ. ისინიც დაიჭირეს რამდენიმე ცალი. პეპლების დამჭერნი ბადეებით ხელში დარბოდენ ერთი ყვავილიდან მეორეზე პეპლების დასაჭერად.

— ამ თეთრ პეპელას, კომბოსტოს პეპელა ჰქვია. ამისი მუხლუხოები ჭამენ მთელ ბოსტნებს და კომბოსტოს თავების მაგიერ მარტო ფოთლების ბადეები რჩება.

— ეს შავი და მოწითალო სად გიპოვნიათ? ესენი დღისით არ ფრინავენ, მხოლოდ საღამოობით, ბინდში ფრინავენ,—უხსნიდა ამხანაგი მანუში თავის გარშემო თავმოყრილ ბავშვებს.

— ამხანაგებო! არავინ არ დალიოს რუს წყალი! — მაღალი ხმით განკარგულება გასცა კოლექტივის ხელმძღვანელმა.

— წყალი გვწყურია, ამხანაგო ბაბკენ, წყალი გვწყურია!

— ათი წუთის შემდეგ ჩვენ წყაროსთან ვიქნებით, ტყის დასაწყისში კარგი ცივი წყაროა.

ბავშვებმა დაუჯერეს ხელმძღვანელს, თავი დაანებეს სმის განზრახვას და გადასტენ რუზე.

ცოტა ხნის შემდეგ ისინი ტყისა და წყაროს ნაპირას იყვნენ.

— ჩვენ აქ ვისაუზმებთ, აბა ამოიღეთ თქვენი საუზმეები, მოაგროვეთ ერთ ადგილას, რომ მომარაგების კომისიამ თანასწორად დაურიგოს ყველას,—ბავშვები დასხდენ რგოლებად.

მათთან ერთად მოსულმა არაორგანიზაციულმა ბავშვებმა უხერხულად იგრძნეს თავი: მათ საუზმე არა ჰქონდათ.

— აბა, თქვენც მოდით, პატარებო,—მიმართა მათ კოლხელმძღვანელმა ბაბკენმა,—ამხანაგებო, ამათაც ადგილი მიეცით თქვენ შორის!

რგოლების ხელმძღვანელებმა ბავშვები გაანაწილეს მათი ასაკის მიხედვით და დასვეს რგოლებად. ყველა ერთგვარ საუზმეს ჭამდა, წყაროს ცივი წყალი ბოთლებით და ჭიქებით ტრიალებდა ბავშვთა თავებზე.

ჭამის შემდეგ დაწვენ მწვანეზე დასასვენებლად, მაგრამ ნახევარ საათზე მეტი ვერ დარჩენ: ჩქარობდენ წინ წასასვლელად.

ტყე უფრო სასიამოვნო იყო მათთვის, ვიდრე რაც ენახათ მანამდის, იქ ახალი მწერები დაიჭირეს, ახალი ყვავილები და ფოთლები მოაგროვეს, მრავალი ფრინველი ნახეს, მაგრამ ყველაზე საინტერესო და დაუვიწყარი იყო მათთვის ბუჩქის ქვეშიდან გამომხტარი კურდღელი, რომელმაც დიდად ასიამოვნა ისინი.

## VI

საათის 4-ზე დაბრუნდენ ქალაქში. შესვლის დროს ხელმეორედ დაეწყვენ და დოლის ტაქტი ხელმეორედ ხელმძღვანელობდა მათ ნაბიჯებს.

— მარცხენით, მარცხენით, მარცხენით! — დროგამოშვებით გაისმოდა რგოლების ხელმძღვანელების ან კოლხელმძღვანელის ინსტრუქტორული ხმა. მიაღწიეს კოლექტივს, ექსკურსია გამარჯვებული იყო, გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

— ამხანაგებო, — თქვა კოლხელმძღვანელმა, — ყველა მოტანილ საგანს კოლოფებით დავტოვებთ კლუბში. ახლა ჩვენ დაღალულნი ვართ, წადით შინ, ხოლო ხვალ მოდით, რომ დავალაგოთ და სწორი კოლექციები შევადგინოთ მწერების, ყვავილებისა და ფოთლების.

ისეც ერთი განგაში ატყდა ბავშვებს შორის.

— ჩვენც მოვალთ, — გაისმა უცბად ერთი მკვეთრი და გაბედული ხმა მწკრივის ბოლო წყვილებიდან.

ოქტომბრელებმა უკან მოიხედეს, კოლექტივის ხელმძღვანელმა გაიღიმა და მიუახლოვდა მას.

— თქვენ გსურთ მოხვიდეთ ჩვენი სამუშაოს სანახავად?

— გვსურს!

— გვსურს!

— გვსურს!

— გვსურს! რიგ-რიგად გაიმეორეს მათ.

ესენი არაორგანიზებული ბავშვები იყვნენ, რომელნიც შეუერთდენ მათ დილას.

— რას იტყვით, ამხანაგებო? — მიმართა ბაბკენმა ოქტომბრელებს.

— ნება მივსცეთ! — ისე ერთხმად ხაზი გაუსვა კოლექტივმა, თითქოს წინასწარ მომზადებული იყო ამ პასუხისათვის.

— მაშასადამე, ამხანაგებო, ხვალიდან დაწყებული თქვენ მიგამაგრებთ ჩვენ ოქტომბრელებთან და იმუშავებთ ჩვენთან ერთად.

რამდენიმე წუთის შემდეგ მხიარული კივილი ბავშვებთან ერთად გამოვარდა კოლექტივის ეზოდან და გაქრა. საღამოს თითოეულმა მათგანმა იმდენი რამ თქვა ოჯახში იმ დღეს ნახულისა და გაგებულის შესახებ, რამდენიც, როგორც მათ ეგონათ, არ ენახათ და არ გაეგოთ მთელი წლის განმავლობაში სკოლაში.

მესიანი. თარგმანი ტ. ფირუმიანისა

---

# წითელი დროშის ორდენი

ქერათმიანი ნინელის დედა რომ წითელი დროშით იყო დაჯილდოვებული, საბავშვო ბაღის ბავშვებმა შემთხვევით გაიგეს:

ერთ საღამოს ის მოვიდა საბავშვო ბაღში ნინელის შინ წასაყვანად. მან გაიხადა პალტო, და ირგვლივ შემოსეულმა ბავშვებმა დაინახეს მის გულზე მბრწყინავი წითელი დროშის ორდენი.

— ოჰო, დეიდა ზინა, ორდენი! — გაკვირვებით მიუთითა აღმზრდელს პაწია კოტემ.

— დეიდა ზინა, ჰკითხა სპარტაკმა აღმზრდელს, — განა ქალებსაც აძლევენ ორდენს?

— თითონაც ხომ ხედავ, სპარტაკ, რატომ კითხულობ. ჩანს, დაიმსახურა!



— დედაჩემი კომანდირია! — ამაყად განაცხადა ნინელიმ.

— დეიდა, — მიუბრუნდა ნინელის დედას კოტე, — ჰკითხა, როდის ან რისთვის მოგცეს ეს ორდენი?

— გვიამბეთ, გვიამბეთ! — შეეხვეწნენ ბავშვები.

— კარგი, ბავშვებო, გიამბობთ, თუ თქვენი აღმზრდელი ბიცოლა ზინა ნებას დამრთავს.

ზინამ ნება დართო, და აი რა უამბო ნინელის დედამ ბავშვებს:

— ათას ცხრაას ცხრამეტი წელი იყო. გენერლები და ოფიცრები ყოველი მხრიდან შემოსეოდნენ ჩვენს ახალგაზრდა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას. ჩვენი ფაბრიკის მუშები წავიდნენ ფრონტზე საომრად. მათთან ერთად წავედი მეც.

მე მოვხვდი ერთ-ერთ გუნდში, სადაც ჩემს გარდა კიდევ იყო ოთხი ქალი. პირველად წითელარმიელები ცუდად შეგვხვდნენ.

— რა გინდათ ფრონტზე, წადით ზურგში და იქ იშოვეთ ქალების საქმე. რაღა აქ მოდიხართ, შეიძლება მოგკლან კიდეც, — ბუზღუნებდნენ ისინი.

მაგრამ მალე დაინახეს, რომ ჩვენ მათზე ნაკლებად არ ვიბრძოდით, და დაიწყეს ჩვენთან ნამდვილი ამხანაგური მოპყრობა.

— ეოჩალ, ქალებო! — უკვირდათ წითელარმიელებს. — ჩვენც, კაცებს, არაფრით არ ჩამოგვივარდებით. პირიქით, უკეთაც იბრძვით...

ერთ დღეს, კონტრკუნტად სროლის დროს, ტყის ნაპირიდან, რომელსაც ჩვენ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით, გამოცვივდნენ ცხენოსანი კაზაკები. მხეცური ღრიალით და ხელების ქნევით მოაჭენებდნენ ცხენებს ჩვენკენ.

მოულოდნელობისაგან დავიბენით.

გუნდის მეთაურმა გასცა ბრძანება მოვმზადებულიყავით იერიშისათვის... ჩვენ წითელარმიელთაგან ბევრმა დააგდო თოფი და გაიქცა. დაიწყო არევ-დარევა, კაზაკები კი სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდნენ; მანძილი ჩვენსა და მათ შორის თანდათან მცირდებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიოდე წუთიც—და კაზაკები შემოიჭრებოდნენ ჩვენს დაბნეულ რიგებში... უცებ, რაც ძალი და ღონე მქონდა, წამოვიყვირე:

— ამხანაგებო, წინ! სიკვდილი თეთრებს! ვაშა!

თოფით ხელში გავეშურე კაზაკებისაკენ. ჩემს უკან გაისმა ძლიერი ,,ვაშა''-ს ძახილი. ყველამ მოაშურა ჩემკენ.

იმ წითელარმიელებს, რომლებმაც დაყარეს თავიანთი თოფები, შერცხვათ და დაბრუნდნენ უკან. ჩვენ მედგრად შევუტიეთ კაზაკებს; ვიბრძოდით არა სიცოცხლისათვის, არამედ იმისათვის, რომ ძვირად დაგვესვა მათთვის ჩვენი სიკვდილი... კაზაკებმა ვერ გაუძლეს ჩვენს შეტევას და მოუსვეს უკან, ტყისკენ.

საღამოს შედგა კრება. ყველა კიცხავდა მშიშრებს, რომლებმაც სამარცხვინოდ მიატოვეს ბრძოლის ველი და კინაღამ დაღუპეს მთელი გუნდის საქმე. ისინი სიტყვის უთქმელად ისმენდნენ ამხანაგების საყვედურს და თავჩაღუნულნი წავიდნენ კრებიდან.

მეორე დღეს კი თავი გამოიჩინეს. თეთრების რაზმი სამჯერ მეტი იყო ჩვენს რაზმზე. ვიბრძოდით ისე, როგორც არასოდეს, და გავიმარჯვეთ კიდეც.

განსაკუთრებით გმირულად იბრძოდნენ ისინი, რომელნიც მხდალად გაიქცნენ გუშინდელი ბრძოლიდან. ამ ბრძოლაში მათ გამოისყიდეს თავიანთი დანაშაული.

ცუდად იყო გუნდის კვების საქმე. არ გვყოფნიდა ტანსაცმელიც. ეს გარემოება ძლიერ გვიშლიდა ხელს.

ერთ მშვენიერ დღეს დამიძახა გუნდის უფროსმა და მითხრა:

— ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით თქვენი დაჯილდოვება...

— მე საჩუქრისათვის არ ვიბრძვი, ამხ. გუნდის უფროსო,— გავაწყვეტინე ლაპარაკი,— არ მინდა საჩუქარი.

— კარგი, კარგი!—გაიღიმა გუნდის უფროსმა.—ამ საკითხზე შემდეგ მოვილაპარაკოთ. ახლა კი აი რა უნდა გავაკეთოთ: ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ მახლობელ სადგურის ჩიხში დგას სურსათ-სანოვაგითა და ტანისამოსით დატვირთული მტრის მატარებლის მთელი შემადგენლობა. აი სწორედ ის შემადგენლობა უნდა გამოვიტაცოთ ჩვენთან.

— კარგი, ამხ. გუნდის უფროსო!—დავეთანხმე მე.

— მაშ წადი,—მითხრა მან,—მხოლოდ უფრთხილდი თავს. რკინისგზელები ჩვენს მხარეზე არიან და დახმარებას აღმოგიჩენენ.

მან მომცა რამდენიმე რჩევა, თუ როგორ სჯობდა ამ საქმის გაკეთება, და ჩვენ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს.

მთელი ღამე მივდიოდი ნაჩვენები სადგურისაკენ მოსავლელი გზით... საშინელი იყო მარტო სიარული. კაბა ხან ბუჩქებზე გამომედებოდა და ხან ფესვებში მეხლართებოდა. სადგურის შორიახლოს შევედი რკინისგზის დარაჯის ქოხში. ბებერი დარაჯი სკამზე იწვა და სთვლემდა.

— მომეცი წყალი!—ვთხოვე მე.

— გაიარე იქით!—დამიყვირა დარაჯმა,—ნუ ჩერდები!

შეურაცხყოფილად ვიგრძენ თავი: ჩვენიანი, მუშა და ასეთი შეხვედრა?

— ამხანაგო!—ვუთხარი მე ხვეწნით,—დამალევინე ცოტა წყალი.

მან დამიწყო მუქარა:

— ამხანაგოს ნუ მეძახი, თორემ შენც და მეც კედელზე მიგვაყუდებენ და დაგვხვრეტენ!

მაგრამ წყალი მაინც დამალევინა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოვჯექი სკამზე დასასვენებლად და ფრთხილად გამოვა-მჟღავნე, თუ ვინ ვიყავი.

მოხუცი, ეტყობოდა, სულელი არ იყო... ის წამსვე მიმიხვდა მე.

— შენ დარჩი მანდ, დაისვენე! ყუთში ცოტა საჭმელიც არის და დანაყრდი. მე მალე დავბრუნდები!—დამიბარა მოხუცმა და წავიდა.

მოხუცი აღარსად ჩანდა...

ვუცადე საათი, ორი, სამი, ბოლოს ეჭვი შემეპარა, თითქოს ცუდი ამბავი ვიგრძენი. სადარაჯო ქოხიდან გარეთ გამოვედი, იქვე ბუჩქნარში მივიმალე და დავიწყე ლოდინი, თუ რა მოხდებოდა. მალე გამოჩნდა მარტოდმარტო მომავალი მოხუცი. მე გამოვედი ჩემი სამალავიდან და წავედი შესახვედრად.

— მოიცა, სანამ დაბნელდებოდეს. საქმე კარგად არის,—მითხრა მან დამარწმუნებელი კილოთი.

საღამოს კი, როცა დაბნელდა, დარაჯის ქოხში მართლაც შეგროვდა ხუთი რკინისგზელი.

გაბრწყინვებული თვალებით მისმენდნენ ისინი, როცა ვეუბნებოდი ჩვენი ბრძოლების შესახებ.

ბოლოს ვუთხარი, რისთვის ვიყავი მოსული თეთრების ზურგში.

რკინისგზელებმა გადაწყვეტით თქვეს:

— რაც იქნება, იქნება, — ვცადოთ. ან დავიღუპებით, ან გადავრჩებით. სულერთია, თეთრებისაგან მოსვენება არა გვაქვს მაინც.

— გზა გაფუჭებული ხომ არ იქნება წინ?—იკითხა ერთმა.



— არა მგონია გაფუჭებული იქნეს. და თუ გაფუჭებული იქნა, გადავუშვათ მატარებელი ფერდობზე. თუ წითელარმიელებს ვერ მივუტანთ, დეე, თეთრებისათვის მაინც დაიკარგოს!

— მაშ ნუღარ ვიცდით. დრო ძვირად ღირს, — ვუთხარი მათ. ახლავე წავიდეთ!

მე გადამაცვეს კაცურად. სახე და ხელები მაზუთით მომითხუპნეს, ასე რომ მთლად ცეცხლფარეშს დავემსგავსე. მე და ორი რკინისგზელი ავედით ორთქლმავალზე და ნელნელა მივუახლოვდით ჩიხში ჩამოყენებულ შემადგენლობას. ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც დარაჯობდენ მას, შემოგვესიენ ირგვლივ.

— საით, ძაღლის შვილებო! — იყვირა ერთმა ოფიცერმა. — ვინ მოგცათ ნება დაძრათ ეს ვაგონები?

— ნუ აღელდებით, ბატონო ოფიცერო! — დააშშვიდა ის ერთმა რკინისგზელმა. — მალე აქ უნდა ჩამოვაყენოთ ახალი შემადგენლობა, თქვენს ვაგონებს კი თავისუფალ ხაზზე გავიყვანთ.

ოფცერი დამშვიდდა და ნება დართო შემადგენლობა გამოეყვანათ თავისუფალ ხაზზე.

ჩვენი ორთქლმავალი მივუბით დატვირთულ შემადგენლობას და გამოვედით თავისუფალ ხაზზე. წყლის ასაღებად გავჩერდით, მოვიმარაგეთ წყალი და ნელნელა გავცილდით სადგურს.

— დროა? — უთხრა ერთმა რკინისგზელთაგანმა მემანქანეს.

ორთქლმავალმა იკუხა და სწრაფად გააქანა შემადგენლობა.

ოფიცერმა და ჯარისკაცებმა შეატყვეს, რომ მათ ვაგონებს ცუდი დღე დაადგა. ატყდა უკან ყვირილი... ატკაცუნდა თოფები. რამდე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმე ტყვია მოხვდა ორთქლმავალს და, მის ფოლადის ჯავშანს მიეჭყლიტა.

ჩვენ კი ვიცინოდით.

სიბნელეში რამდენიმეჯერ გაანათა განვლილი სადგურების სინათლეებმა. ბოლოს ორთქლმავალი გავაჩერეთ იმ სადგურში, სადაც გვიცდიდა გუნდის უფროსი წითელარმიელებთან ერთად.

ვაგონებში, გარდა ჩვენთვის აუცილებელ საჭირო სურსათ-სანოვაგისა, ბლომად აღმოჩნდა ტანსაცმელიც და სამხედრო მასალაც.

აი ამიტომ დამაჯილდოვეს წითელი დროშის ორდენით.

როცა დამთავრდა სამოქალაქო ომი, კვლავ ჩემს ქარხანაში დავბრუნდი. რამდენიმე ხანს ვმუშაობდი. ბოლოს გამომგზავნეს სასწავლებელში...

ვსწავლობ და ვასწავლი ჩემს ნინელის, რომ როგორც მე არ ვზოგავდი ჩემს ძალ-ღონეს და სიცოცხლეს, ისიც ისე ემსახუროს ჩვენი კომუნისტური პარტიისა და წითელი ქვეყნის მუშების ინტერესებს.

აი ეს იყო სუყველაფერი, ბავშვებო! — დაასრულა ნინელის დედამ. — აბა, ნინელი, ჩაიცვი პალტო, დროა წავიდეთ.

ვ. ზინდე

თარგმ. ზოთა გაფრინდაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპილო და ფინა

ერთხელ სპილოს საჩვენებლად
ქუჩა-ქუჩა ატარებდენ,
ამ საკვირველ სანახავით
მაყურებელს ახარებდენ.

ახლოს ვერვინ მიეკარა,
ყველა ისე შეაშინა,
მაგრამ უცბად საიდანღაც
გამოუხტა ერთი ფინა.

გადიგრიხა კუდი, შეხტა,
გაწიწმატდა და გამწარდა,
შეუღრინა, შეუყეფა,
მაგრამ ზედ კი ვერ მივარდა.

გოშამ უთხრა: ,,რას მასხარობ!
უნდა გითხრა, მებრალები!
ვერ ხედავ, რომ ყურს არ გიგდებს,
და ტყუილად რად იღლები?!“

უპასუხა: ,,მეც კი ვხედავ,
რომ არ მაქცევს ყურადღებას,
თვარა, ეს რომ არ ვიცოდე,
გავბედავდი, განა, ყეფას!

რა მაკლდება, შორიახლოს
ასე ყეფით რომ მივსდიო?
ვინც შემხედავს, ასე იტყვის:
—მარჯვეა და გულადიო!“

**ი. კრილოვისა,**

თარგმანი **ა. წერეთლისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩრდილის თეატრი

ოთახში ჟრიამული იყო, ბავშვებს მოეყარათ თავი და ფუსფუსობდნენ.

— აბა, ყველაფერი გვაქვს? — იკითხა კოლამ, რომელიც ყველაზე დიდი იყო. — ჩვენ გვჭირდება ზეწარი, ორი საბანი, კნოპები ან წვრილი ლურსმნები, ჩაქუჩი, ლამფა და ორი წვრილი და თხელი ლარტყა.

— ზეწარს დედას ვსთხოვ! — წამოიძახა მზიამ.

— ჰო, მოგართმევს, პირი დაუღე! — უთხრა შოთიკომ.

— რატომაც არ მომართმევს, კი არ გავუფუჭებ.

— საბნებიც შენ სთხოვე, დედას გაეხარდება და ლეიბებსაც მოგცემს! — სიცილით თქვა ვასიკომ.

— აგერ ნახავ, თუ არ მომცემს...

— მე ჩაქუჩი და ლურსმნები უკვე მზად მაქვს, მალე მოიტანეთ ზეწარი! — ვერ ისვენებდა ნოდარი.

მზია დედასთან გაიქცა, შოთიკოც მას მიჰყვა, რომ დახმარებოდა თავის დას და დედას ხელცალიერი არ გამოეშვა ისინი...

ცოტა ხნის შემდეგ შემოვარდენ გახარებული მზია და შოთიკო, მოიტანეს ზეწარი და საბნები, დედაც მოჰყვა მათ.

— აბა მაჩვენეთ, რას აკეთებთ, ბავშვებო. კი არაფერი აურ-დაურიოთ...

— ჩრდილის თეატრს ვაწყობთ, დეიდა კატო, — უპასუხა კოლამ.

— ჩრდილის თეატრს? ეს რაღა თეატრია?

— აი ახლავე გეტყვით. ამ ჟურნალში დაბეჭდილია „სპილო და ფინა“ და დახატულია შავი სურათები. აქვე წერია, თუ როგორ უნდა მოეწყოს ჩრდილის თეატრი. აი ახლავე წაგიკითხავთ. და კოლამ წაიკითხა:

### ჩრდილის თეატრი და მისი მოწყობა

ჩრდილის თეატრი უმჯობესია ოთახის კარებში მოეწყოს. გაალეთ ოთახის კარი და იმაზე მიაჭედეთ ერთი ლარტყა 1 მეტრისა და 20 სანტიმეტრის სიმაღლეზე, ხოლო მეორე ლარტყა 50 სანტიმეტრით უფრო მაღლა.

ამ ლარტყებზე კნოპებით უნდა დაამაგროთ ზეწარი — ეს იქნება **ეკრანი.**

ამ ეკრანის ზევით და ქვევით დარჩენილ ცალიერ ადგილებზე საბნები უნდა ჩამოიკიდოს.

ლამფა იმის უკან უნდა იყოს, ვინც „დამსწრე საზოგადოებას" უჩვენებს სხვადასხვა სურათს, დამსწრენი კი, ე. ი. ის ბავშვები, რომლებსაც სურთ ჩრდილის თეატრის წარმოდგენის ნახვა, ეკრანის წინა სხედან სიბნელეში.

უნდა აჩვენოთ გამოჭრილი ფიგურები. ეს ფიგურები ზეწრის ბოლოს უნდა მიადვათ და ისე ამოძრაოთ სხვადასხვა მიმართულებით. დამსწრენი მეორე მხარეს ხედავენ მათ ჩრდილს, და ეს საინტერესოა.

როგორ გამოვჭრათ ეს ფიგურები? გადაიხატეთ ჟურნალიდან ნახატები (იმავე ზომის იყოს, როგორც ჟურნალშია). გადახატვა ხელით შეიძლება, ან დაადევით ამ ნახატებს თხელი ქაღალდი, ფანქრით შემოხაზეთ, შემდეგ კი სქელ ქაღალდზე ან კარდონზე დადევით ეს შემოხაზული ნახატები და გამოჭერით. შეიძლება ასეც მოიქცეთ: აიღეთ ძველი ღია ბარათები და ქვევიდან მიაწებეთ შემოხაზულ ნახატებს, შემდეგ გამოჭერით. გამოჭრის დროს ქვეშ დაუტოვეთ საყრდენი, რითაც უნდა დაიჭიროთ სილუეტები, რომ ჩრდილზე თითები არ გამოჩნდეს.

უმჯობესია სილუეტები ორმა უჩვენოს ერთად.

როლებს რომ დაინაწილებენ, თვითეული მაჩვენებელი დააწყობს სილუეტებს იატაკზე თავის ახლოს.

სილუეტებს დაჩოქილნი აჩვენებენ.

### წარმოდგენა „სპილო და ფინა"

ჯგუფი № 1 წინასწარვე დგას, ლარტყაზეა მიმაგრებული.

ნელნელა შემოდის სპილო შემდეგი სიტყვების თქმის დროს: „ერთხელ სპილოს საჩვენებლად ქუჩა-ქუჩა ატარებდენ..."

სპილოს მოჰყვება ჯგუფი № 3.

სიტყვების თქმის დროს: „მაგრამ საიდანღაც გამოუხტა იმათ ფინა", წინიდან გამოხტება ფინა (№ 5, მაჩვენებელი ყეფს). ფინა ყოველი მხრიდან ეცემა სპილოს. შემდეგ მალავენ № 5-ს და გაათამაშებენ № 6-ს. აქ ფინა ქვევიდან პირდაპირ ახტება სპილოს. ამასობაში სპილო სულ განაგრძობს გზას.

ფიგურა № 4 დაეწევა, № 3 ისევ მოძრაობს. ჯგუფები ერთიმეორეს უსწრებენ.

მიდიან, ფინა კი განუწყვეტლივ ყეფს.

ცალიერ სცენაზე გამოჩნდება გოშა (№ 7) და ამ დროს ამბობს მაჩვენებელი: „რას მასხარობ! უნდა გითხრა, მებრალები! ხომ ხედავ, რომ ყურს არ გიგდებს, და ტყუილად რად იღლები?!"

ფინა (№ 8) მის პირდაპირ გამოჩნდება და საპასუხოდ ამბობს: „მეც კი ვხედავ, რომ არ მაქცევს ყურადღებას..." (იგავარაკის სიტყვები ბოლომდის).

ამის შემდეგ ორივე ძაღლის თავს აიღებენ და სცენაზე დადგამენ ორ უძრავ სულელურ თავს (№ 9 ხელით და № 10) ერთმანეთის პირდაპირ. ქალი ხელს ამოძრავებს და ჩაფიქრებული სერიოზულად და სულელურად ამბობს ფინას სიტყვებს: „ვინც შეხედავს, ასე იტყვის: მარჯვეა და გულადიო!“

გაათავა კოლამ კითხვა. ბავშვები ვერ ითმენდენ, ჩქარობდენ წარმოდგენის დაწყებას. ახლა ყველაფერი მზად იყო, ჟურნალიდან გადმოხატული სურათები კარდონზე იყო დაწებებული და გამოჭრილი, ეკრანთან (ზეწართან) დაჩოქილი იდგენ მზია და ვასიკო და იქვე ელაგა სურათები.

„დამსწრე საზოგადოება“ გაინაბა, და დაიწყო წარმოდგენა.

დინჯად მიდიოდა შავი სპილო ზეწარზე, და ამ დროს ყეფით გამოხტა ფინა... ბავშვებმა სიცილ-კისკისი ატეხეს. სპილო ყურადღებას არ აქცევდა ფინას და ისევ დინჯად მიდიოდა...

ძალიან, ძალიან ისიამოვნეს ბავშვებმა, კატოც გაღიმებული მისჩერებოდა ეკრანს (მას ბავშვებმა სკამი მოართვეს და პირველ რიგში დასვეს). როდესაც დასრულდა წარმოდგენა, ბავშვებმა გადაწყვიტეს თვითონ დაეხატათ სურათები მოთხრობისათვის „ცრუპენტელა“ (ცრუპენტელა ბიჭი ცხვრის ფარას აძოვებდა. მოინდომა გლეხების მოტყუება და დაიწყო ყვირილი:—მიშველეთ, მგელი, მგელიო! გლეხები მიეშველნენ, ის კი იცინოდა. რამდენჯერმე ასე მოატყუა გლეხები. ბოლოს მართლა მიუხტა მგელი. ისევ იყვირა: მიშველეთ, მგელიო! მაგრამ აღარავინ არ მიეშველა: ეგონათ, ისევ გვატყუებსო, და მგელმა ცხვრები დაკლა) და დაედგათ ჩრდილის თეატრში მეორე წარმოდგენა.

შ. თ — ლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



[illegible] (left heading)

# თამაშობა (სიმღერა)

მუსიკა თამარ შავერზაშვილის

Moderato (ზომიერად)



3) აბა, [illegible]
არ გაუშვათ [illegible], ჰე —
ვნახოთ აბა ჰე [illegible]
რა [illegible], ჰე —

4) აბა, [illegible], აბა [illegible],
[illegible], ჰე —
[illegible]
[illegible] — ჰე

5) [illegible]
ხან ჭრის [illegible], ხან [illegible], ჰე —
[illegible]
[illegible], ჰე —

6) [illegible] თამაშობა,
ვიყვირით [illegible], ჰე —
ეს [illegible], [illegible]
[illegible], ჰე —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მანეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

